დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ -ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ლელა ბუბაშვილი
წევრები:
ელიზბარ ბარბაქაძე - ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი;
ირინა გოგონაია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მამუკა ხაჩიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დალი კერესელიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნანა ჩხიკვაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი ჩაჩუა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ლანა არახამია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
შაქრო ჟღენტი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
თამარ ზედგენიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ვერა სომხიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ -ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242263420

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფელი ლესიჭინე
საფოსტო ინდექსი	5000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Lesichine1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599635495

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 8 26 0000366389 26/03/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 28 და 29 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგასაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი/სოფელი ლესიჭინე მისამართი: ლესიჭინე მშვიდობის ქ. N1 - ძირითადი კორპუსი - 1 შენობა-ნაგებობა; ლესიჭინე-ოჩხომური შემოერთებული კორპუსი - 1 შენობა-ნაგებობა.
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგასაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი/სოფელი ლესიჭინე მისამართი: ლესიჭინე მშვიდობის ქ. N1 - ძირითადი კორპუსი - 1 შენობა-ნაგებობა;

				ლესიჭინე-ოჩხომური შემოერთებული კორპუსი - 1 შენობა-ნაგებობა.
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგასაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი/სოფელი ლესიჭინე მისამართი: ლესიჭინე მშვიდობის ქ. N1 - ძირითადი კორპუსი - 1 შენობა-ნაგებობა; ლესიჭინე-ოჩხომური შემოერთებული კორპუსი - 1 შენობა-ნაგებობა.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ -ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა წარმატებით. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუირების პროცესი სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მოსწავლეთა მშობლებთან. ექსპერტებმა ადგილზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი, თანამშრომელთა პირადი საქმეები და წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

საგნობრივი ექსპერტები ონლაინ რეჟიმში გაესაუბრნენ მასწავლებლებს და მოიპოვეს ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი ასევე ონლაინ რეჟიმში გაესაუბრა მასწავლებლებს.

სკოლის ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია წარიმართა ნაყოფიერად. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: *250*	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს: ა) უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება - 25.02.2026წ.-25.02.2027წ.; ბ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება - 26.02.2026წ.-26.02.2027წ.; გ) სათვალთვალო კამერების დამონტაჟება შიდა და გარე პერიმეტრზე - 13.06.2026წ.-13.06.2027წ.; დ) დღის დარაჯის შტატის განსაზღვრა - 13.06.2026წ.-15.09.2026წ.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს: სკოლის მეორე შენობაში სამედიცინო კაბინეტის მოწყობა; შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის/ექთნის პოზიციაზე ვაკანსიის გამოცხადება და დასაქმება. 13.06.2026წ.-15.09.2026წ.
ინდიკატორი N3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს: სკოლის მეორე შენობაში ბიბლიოთეკის განთავსება. 13.06.2026წ.-13.09.2026წ.
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს: ა) სკოლის მეორე შენობაში ლიფტის/პანდუსის განთავსება; ბ) ძირითად შენობაში შშმ პირთათვის სველი წერტილის მოწყობა 13.06.2026წ.-13.10.2027წ.
ინდიკატორი N3.6.1.1	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს: სკოლის მეორე შენობაში კომპიუტერული ლაბორატორიის განთავსება 13.06.2026წ.-13.09.2026წ.

ინდიკატორი N3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს: სკოლის მეორე შენობაში კომპიუტერული ლაბორატორიის განთავსება 13.06.2026წ.-13..09.2026წ.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	***სასკოლო კურიკულუმი საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა***	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს: სკოლის მეორე შენობაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა 13.06.2026წ.- 01.02.2027წ.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	**სკოლას მიეცა რჩევა:** სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სკოლის სასწავლო გეგმაში დეკლარირებული მისია, ხედვა და ღირებულებები შესაბამისობაში მოიყვანოს.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	**სკოლას მიეცა რჩევა:** იზრუნოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმებაზე, შრომის უსაფრთოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან დაკავშირებით;

ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	**სკოლას მიეცა რჩევა:** პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესიდან (მუხლი 2. პუნქტი 1.) ამოიღოს აღნიშნული ინფორმაცია.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**რჩევები:** სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების *I – IV კლასის* კურიკულუმის ჩარჩოში გაიწეროს სამიზნე ცნებები ეროვნული სასწავლო გეგმის მე-10 მუხლის შესაბამისად, ანუ უნიფიცირებული V-VI კლასის ბუნებისმეტყველების სამიზნე ცნებებთან; ბუნებისმეტყველების მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმებში ჩაიწეროს სავალდებულო თემები სტანდარტის შესაბამისად. სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმების ქუდში მითითებული იყოს საათობრივი ბადე. ასევე თითოეული თემის გრაფაში ამ თემისთვის განკუთვნილი საათების დაახლოებითი რაოდენობა. სასურველია გადაიხედოს მე-5, კლასის სახელმწიფო ენის კურიკულუმი, რათა სამიზნე ცნებებისა და საკითხთა ჩამონათვალის ფორმულირება მოვიდეს სრულ თანხვედრაში ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტთან. ასევე, სამიზნე ცნებებთან ერთად, სასურველია, ყველა კლასის

		კურიკულუმში მიუთითოთ რომელი ქვეცნებები მუშავდება თემის ფარგლებში.
ინდიკატორი N2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**რჩევები:** სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავდეს ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში შუალედური მიზნის ფორმულირებასთან დაკავშირებით; ბუნებისმეტყველების V კლასის კურიკულუმში თემების მიხედვით წარმოდგენილი იყოს შუალედური სასწავლო მიზნები; ბუნებისმეტყველების V კლასის კურიკულუმს გაუკეთდეს სატიტულო ნაწილი; შემოქმედებით დავალებებში პროდუქტის, რომელიც უნდა შექმნას მოსწავლემ, მკაფიოდ მითითება. სასურველია, უცხოური ენების კურიკულუმებში დამატებითი რესურსების მეტი რაოდენობა. სასურველია, სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. დავალების იდეის გრაფაში მითითებული იყოს მხოლოდ შემოქმედებითი დავალების იდეა, შეფასების რუბრიკის გარეშე. სასურველიაგრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები და შედეგები) და სავალდებულო თემები მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან.
ინდიკატორი N2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ**	**რჩევები:** სასურველია, რომ ბუნებისმეტყველების კურიკულუმების სატიტულო ნაწილში მკაფიოდ დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა და აკადემიური სტილი სრული რეკვიზიტების -

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სახელმძღვანელოს დასახელების, ავტორი/ავტორების, გამომცემლობის, გამოცემის წლის - მითითებით; დაზუსტდეს სასკოლო სასწავლო გეგმასა და კურიკულუმებში მოყვანილი ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოების შესაბამისობა. სასურველია, რომ ბუნებისმეტყველების კურიკულუმების სატიტულო ნაწილში მიეთითოს კურიკულუმის დამგეგმავი და განმახორციელებელი პირი/მასწავლებელი, დაკონკრეტდეს საათობრივი დატვირთვა თემების მიხედვით. კურიკულუმში (კლასების მიხედვით) დაფიქსირდეს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები. სასურველია დაწყებით საფეხურზე უცხოურ ენებში მეტი დამატებითი რესურსის, კერძოდ საგანმანათლებლო აპლიკაციების, გვერდების, აუდიო და ვიდეომასალის მოქმედი ბმულების კურიკულუმების რესურსების გრაფაში მითითება. ასევე კარგი იქნება კონტექსტ-მაგალითების მითითება ყველა თემისთვის. სასურველია, სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსების. ასევე,მნიშვნელოვანია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. სასურველია მათემატიკის კურიკულუმებში რესურსების მრავალფეროვნებაზე აქცენტის გაკეთება.

ინდიკატორი N2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**რჩევები:** სასურველია, დიფერენცირებული მიდგომები ჩანდეს უცხოური ენის კურიკულუმებში. სასურველია სახელმწიფო ენაში შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. სასურველია მათემატიკის კათედრაზე განხილულ იქნას მოსწავლეთა მიღწევების ანგარიშები, რათა რესურსების შერჩევა მოხდეს კონკრეტული აკადემიური საჭიროებების გათვალისწინებით.
ინდიკატორი N2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**რჩევები:** სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უცხოურ ენებში იყოს უფრო კონკრეტული და იძლეოდეს გრადაციის საშუალებას; მიზანშეწონილია მათემატიკაში შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა, რათა ისინი მაქსიმალურად ფოკუსირდეს მოსწავლის პერსონალურ პროგრესსა და ანალიტიკურ განვითარებაზე.
ინდიკატორი N2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**რჩევები:** პროცესის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია მათემატიკის კათედრის წევრთა მჭიდრო კოლეგიური თანამშრომლობა და საერთო სტრატეგიული მიდგომების შემუშავება.

ინდიკატორი N2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**რჩევები:** სასურველია, უცხოურ ენებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იყოს უფრო კონკრეტული და იძლეოდეს გრადაციის საშუალებას: წარმატებული/კარგი/საშუალო/საჭიროებს განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს პედაგოგს, უკეთ განსაზღვროს მოსწავლის საჭიროებები. ასევე სასურველია, შემუშავდეს შეფასების რუბრიკების სახელმძღვანელოს თითოეული თემისთვის, სადაც გაწერილი იქნება ის ცოდნა და უნარები, რასაც უნდა მიაღწიოს მოსწავლემ თითოეული თემის დასრულების შემდეგ.
ინდიკატორი N2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**რჩევები:** სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში საგნების (ბუნებისმეტყველება) და კლასების მიხედვით აისახოს რეალური ექსპერიმენტების/ცდების რესურსები. საბუნებისმეტყელო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავდეს ელექტრონული რესურსების - ტელესკოლის გაკვეთილის, ვიდეოექსპერიმენტის და სხვ. "დაკვირვების სამუშაო ფურცელი/ინსტრუქცია";

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე**	**რჩევა:** სასურველია, რომ საბაზო საფეხურის ფიზიკის ყველა კლასის კურიკულუმებში თემები ჩაიწეროს შესაბამისი საგნის სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემების ფორმულირებით;

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	ბიოლოგიის მე-9 კლასის კურიკულუმში თემები ჩაიწეროს შესაბამისი საგნის სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემების ფორმულირებით; სასურველია, რომ საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმების ქუდში მითითებული იყოს საათობრივი ბადე. ასევე თითოეული თემის გრაფაში ამ თემისთვის განკუთვნილი საათების დაახლოებითი რაოდენობა. სასურველია გადაიხედოს მე-7, მე-8 კლასის სახელმწიფო ენის კურიკულუმი, რათა სამიზნე ცნებებისა და საკითხთა ჩამონათვალის ფორმულირება მოვიდეს სრულ თანხვედრაში ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტთან. ასევე, სამიზნე ცნებებთან ერთად, სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში მიუთითოთ რომელი ქვეცნებები მუშავდება თემის ფარგლებში.
ინდიკატორი N2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**რჩევები:** სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავდეს ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში შუალედური მიზნის ფორმულირებასთან დაკავშირებით; სასურველია, უცხოური ენების კურიკულუმებში დამატებითი რესურსების მეტი რაოდენობა. სასურველია, სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. დავალების იდეის გრაფაში მითითებული იყოს მხოლოდ შემოქმედებითი დავალების იდეა, შეფასების რუბრიკის გარეშე.
ინდიკატორი N2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის**	**რჩევები**: სასურველია, საბაზო საფეხურის ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმების სატიტულო ნაწილში მკაფიოდ დასახელდეს

	საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა და აკადემიური სტილი სრული რეკვიზიტების - სახელმძღვანელოს დასახელების, ავტორი/ავტორების, გამომცემლობის, გამოცემის წლის - მითითებით; დაზუსტდეს სასკოლო სასწავლო გეგმასა და კურიკულუმებში მოყვანილი ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოების შესაბამისობა. **სასურველია** ბიოლოგიის მე-8 კლასის, ფიზიკის მე-7 კლასის, კურიკულუმების სატიტულო ნაწილში მოცემული სახელმძღვანელოს დასახელება ემთხვეოდეს ამავე კურიკულუმების სასწავლო რესურსებში მითითებული სახელმძღვანელოების დასახელებას; სასურველია, რომ საბზო საფეხურის საგნობრივი - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმების სატიტულო ნაწილში მიეთითოს კურიკულუმის დამგეგმავი და განმახორციელებელი პირი/მასწავლებელი, დაკონკრეტდეს საათობრივი დატვირთვა თემების მიხედვით. ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია - კურიკულუმში (კლასების მიხედვით) დაფიქსირდეს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები. სასურველია საბაზო საფეხურზე უცხოურ ენებში მეტი დამატებითი რესურსის, კერძოდ საგანმანათლებლო აპლიკაციების, გვერდების, აუდიო და ვიდეომასალის მოქმედი ბმულების კურიკულუმების რესურსების გრაფაში მითითება. ასევე კარგი იქნება კონტექსტ-მაგალითების მითითება ყველა თემისთვის. სასურველია, სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსების. ასევე,მნიშვნელოვანია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ

		მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. სასურველია მათემატიკის კურიკულუმებში რესურსების მრავალფეროვნებაზე აქცენტის გაკეთება.
ინდიკატორი N2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**რჩევები:** სასურველია, დიფერენცირებული მიდგომები ჩანდეს უცხოური ენის კურიკულუმებში. სასურველია სახელმწიფო ენაში შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. სასურველია მათემატიკის კათედრაზე განხილულ იქნას მოსწავლეთა მიღწევების ანგარიშები, რათა რესურსების შერჩევა მოხდეს კონკრეტული აკადემიური საჭიროებების გათვალისწინებით.
ინდიკატორი N2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**რჩევები:** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან, ასევე, ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების შესაბამისად, მეტად გამოჩნდეს ბმა საკითხსა და სამიზნე ცნებას/ქვეცნებას შორის; სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უცხოურ ენებში იყოს უფრო კონკრეტული და იძლეოდეს გრადაციის საშუალებას;

		მიზანშეწონილია მათემატიკაში შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა, რათა ისინი მაქსიმალურად ფოკუსირდეს მოსწავლის პერსონალურ პროგრესსა და ანალიტიკურ განვითარებაზე.
ინდიკატორი N2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**რჩევები:** სასურველია, საკლუბო და საგნებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) საწრეო მუშაობის გააქტიურება. პროცესის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია მათემატიკის კათედრის წევრთა მჭიდრო კოლეგიური თანამშრომლობა და საერთო სტრატეგიული მიდგომების შემუშავება.
ინდიკატორი N2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**რჩევები:** სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას საგნობრივ (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) სტანდარტში მითითებულ ინდიკატორებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებთან მიმართებაში; შერჩეულ იქნას სამიზნე ცნების განსახილველი მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დაკონკრეტდეს დავალების პირობის გათვალისწინებით. სასურველია, უცხოურ ენებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იყოს უფრო კონკრეტული და იძლეოდეს გრადაციის საშუალებას: წარმატებული/კარგი/საშუალო/საჭიროებს განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს პედაგოგს, უკეთ განსაზღვროს მოსწავლის საჭიროებები. ასევე სასურველია, შემუშავდეს შეფასების რუბრიკების სახელმძღვანელოს თითოეული თემისთვის, სადაც გაწერილი იქნება ის ცოდნა და უნარები, რასაც უნდა

		მიაღწიოს მოსწავლემ თითოეული თემის დასრულების შემდეგ. ასევე სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების კონკრეტულ პროდუქტებზე მორგება.
ინდიკატორი N2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**რჩევები:** სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით აისახოს რეალური ექსპერიმენტების/ცდების რესურსები (ცდის/ლაბ. სამუშაოს დასახელება, მასალები/ რეაქტივები, მოწყობილობები); სასურველია, საბუნებისმეტყელო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავდეს ელექტრონული რესურსების - ტელესკოლის გაკვეთილის, ვიდეოექსპერიმენტის და სხვ. "დაკვირვების სამუშაო ფურცელი/ინსტრუქცია"; სასურველია, შესაძლებლობის ფარგლებში, ქიმიის კაბინეტის ცალკე გამოყოფა, მისი უზრუნველყოფა დენით, წყლით (ნიჟარები), გამწოვი კარადით, კაბინეტის აღჭურვა ლაბორატორიული მოწყობილობებით, შესაბამისი მასალითა და რეაქტივებით, ქიმიური ნივთიერებების შენახვა წესების დაცვით;
ინდიკატორი N2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**რჩევები:** სასურველია, ფიზიკის მოწყობილობების შევსება სავალდებულო თემების/საკითხების შესაბამისად და შენახვის ადგილებზე სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები; სასურველია, ბიოლოგიის ისეთი რესურსების, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, შევსება და შენახვის ადგილებზე სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით შესაბამისი წარწერების გაკეთება;

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**რჩევა:** სასურველია, რომ საშუალო საფეხურის ფიზიკის (X კლასის) კურიკულუმში თემები ჩაიწეროს შესაბამისი საგნ სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემებ ფორმულირებით. სასურველია, რომ საშუალო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმების ქუდში მითითებული იყოს საათობრივი ბადე. ასევე თითოეული თემის გრაფაში ამ თემისთვის განკუთვნილი საათების დაახლოებითი რაოდენობა. სასურველია გადაიხედოს მე-10 კლასის სახელმწიფო ენის კურიკულუმი, რათა სამიზნე ცნებებისა და საკითხთა ჩამონათვალის ფორმულირება მოვიდეს სრულ თანხვედრაში ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტთან. ასევე, სამიზნე ცნებებთან ერთად, სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში მიუთითოთ რომელი ქვეცნებები მუშავდება თემის ფარგლებში.
ინდიკატორი N2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**რჩევები:** სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავდეს ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში შუალედური მიზნის ფორმულირებასთან დაკავშირებით; სასურველია, უცხოური ენების კურიკულუმებში დამატებითი რესურსების მეტი რაოდენობა.

		სასურველია, სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. დავალების იდეის გრაფაში მითითებული იყოს მხოლოდ შემოქმედებითი დავალების იდეა, შეფასების რუბრიკის გარეშე.
ინდიკატორი N2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**რჩევები:** სასურველია, რომ საშუალო საფეხურის საგნობრივი - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმების სატიტულო ნაწილში მკაფიოდ დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა და აკადემიური სტილი სრული რეკვიზიტების - სახელმძღვანელოს დასახელების, ავტორი/ავტორების, გამომცემლობის, გამოცემის წლის - მითითებით; დაზუსტდეს სასკოლო სასწავლო გეგმასა და კურიკულუმებში მოყვანილი ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოების შესაბამისობა. ქიმიის მე-10 კლასის კურიკულუმის სატიტულო ნაწილში მოცემული სახელმძღვანელოს დასახელება უნდა ემთხვეოდეს ამავე კურიკულუმების სასწავლო რესურსებში მითითებული სახელმძღვანელოების დასახელებას; სასურველია, რომ საშუალო საფეხურის საგნობრივი - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმების სატიტულო ნაწილში მიეთითოს კურიკულუმის დამგეგმავი და განმახორციელებელი პირი/მასწავლებელი, დაკონკრეტდეს საათობრივი დატვირთვა თემების მიხედვით. საშუიალო საფეხურის საგნობრივ - ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია - კურიკულუმში (კლასების მიხედვით) დაფიქსირდეს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები. სასურველია საშუალო საფეხურზე უცხოურ ენებში მეტი დამატებითი რესურსის, კერძოდ საგანმანათლებლო აპლიკაციების, გვერდების, აუდიო და ვიდეომასალის მოქმედი ბმულების კურიკულუმების რესურსების გრაფაში მითითება.

		ასევე კარგი იქნება კონტექსტ-მაგალითების მითითება ყველა თემისთვის. სასურველია, სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსების. ასევე,მნიშვნელოვანია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. სასურველია მათემატიკის კურიკულუმებში რესურსების მრავალფეროვნებაზე აქცენტის გაკეთება.
ინდიკატორი N2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**რჩევები:** სასურველია, დიფერენცირებული მიდგომები ჩანდეს უცხოური ენის კურიკულუმებში. სასურველია სახელმწიფო ენაში შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. სასურველია მათემატიკის კათედრაზე განხილულ იქნას მოსწავლეთა მიღწევების ანგარიშები, რათა რესურსების შერჩევა მოხდეს კონკრეტული აკადემიური საჭიროებების გათვალისწინებით.
ინდიკატორი N2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**რჩევები:** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან, ასევე, ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების შესაბამისად, მეტად გამოჩნდეს ბმა საკითხსა და სამიზნე ცნებას/ქვეცნებას შორის;

		სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უცხოურ ენებში იყოს უფრო კონკრეტული და იძლეოდეს გრადაციის საშუალებას; მიზანშეწონილია მათემატიკაში შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა, რათა ისინი მაქსიმალურად ფოკუსირდეს მოსწავლის პერსონალურ პროგრესსა და ანალიტიკურ განვითარებაზე.
ინდიკატორი N2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**რჩევები:** სასურველია, საკლუბო და საგნებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) საწრეო მუშაობის გააქტიურება. პროცესის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია მათემატიკის კათედრის წევრთა მჭიდრო კოლეგიური თანამშრომლობა და საერთო სტრატეგიული მიდგომების შემუშავება.
ინდიკატორი N2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**რჩევები:** სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას საგნობრივ (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) სტანდარტში მითითებულ ინდიკატორებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებთან მიმართებაში; შერჩეულ იქნას სამიზნე ცნების განსახილველი მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დაკონკრეტდეს დავალების პირობის გათვალისწინებით. სასურველია, უცხოურ ენებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იყოს უფრო კონკრეტული და იძლეოდეს გრადაციის საშუალებას: წარმატებული/კარგი/საშუალო/საჭიროებს

		განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს პედაგოგს, უკეთ განსაზღვროს მოსწავლის საჭიროებები. ასევე სასურველია, შემუშავდეს შეფასების რუბრიკების სახელმძღვანელოს თითოეული თემისთვის, სადაც გაწერილი იქნება ის ცოდნა და უნარები, რასაც უნდა მიაღწიოს მოსწავლემ თითოეული თემის დასრულების შემდეგ. ასევე სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების კონკრეტულ პროდუქტებზე მორგება.
ინდიკატორი N2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**რჩევები:** სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით აისახოს რეალური ექსპერიმენტების/ცდების რესურსები (ცდის/ლაბ. სამუშაოს დასახელება, მასალები/ რეაქტივები, მოწყობილობები); სასურველია, საბუნებისმეტყელო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავდეს ელექტრონული რესურსების - ტელესკოლის გაკვეთილის, ვიდეოექსპერიმენტის და სხვ. "დაკვირვების სამუშაო ფურცელი/ინსტრუქცია"; სასურველია, შესაძლებლობის ფარგლებში, ქიმიის კაბინეტის ცალკე გამოყოფა, მისი უზრუნველყოფა დენით, წყლით (ნიჟარები), გამწოვი კარადით, კაბინეტის აღჭურვა ლაბორატორიული მოწყობილობებით, შესაბამისი მასალითა და რეაქტივებით, ქიმიური ნივთიერებების შენახვა წესების დაცვით;
ინდიკატორი N2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**რჩევები:** სასურველია, ფიზიკის მოწყობილობების შევსება სავალდებულო თემების/საკითხების შესაბამისად და შენახვის ადგილებზე სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები; სასურველია, ბიოლოგიის ისეთი რესურსების, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები,

		შევსება და შენახვის ადგილებზე სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით შესაბამისი წარწერების გაკეთება;

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი ინფორმაცია და სრულად გაიზიარა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

   სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები დეკლარილებულია 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილსა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში(2025-2032), ასევე ატვირთულია სკოლის ვბეგვერდზე, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავებულია. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები სწორად არის მოცემული სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სკოლის ვებგვერდზე.

   სკოლის მისია: „ჩვენი მისიაა შევქმნათ უსაფრთხო, ინკლუზიური და დემოკრატიული საგანმანათლებლო გარემო, სადაც თითოეული მოსწავლე ჩამოყალიბდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე წიგნიერ, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედ, მიზანდასახულ და სოციალურად პასუხისმგებლიან მოქალაქედ. ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, ქართული ტრადიციებისა და ოჯახის ინსტიტუტის პატივისცემაზე, ამავდროულად მათ აღჭურვაზე თანამედროვე ტექნოლოგიური და ანალიტიკური უნარებით, რაც აუცილებელია გლობალურ სამყაროში თვითრეალიზაციისათვის";

   სკოლის ხედვაა: „ჩვენი სკოლა მიისწრაფვის გახდეს მუნიციპალიტეტის წამყვანი საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც:

   - უზრუნველყოფს უწყვეტ აკადემიურ და ინტელექტუალურ განვითარებას;
   - ნერგავს „ციფრული მოქალაქეობის" მაღალ სტანდარტს;
   - ზრდის ეკოლოგიური ცნობიერების მქონე თაობას, რომელიც პასუხისმგებელია გარემოსა და კლიმატის წინაშე არსებულ გამოწვევებზე;
   - წარმოადგენს სივრცეს, სადაც ინოვაცია და ტრადიცია ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს ახალი სულიერი თუ მატერიალური ღირებულებების შესაქმნელად.
   - სთავაზობს მრავალფეროვან აქტივობებსა და არაფორმალურ განათლებას".

   სკოლის მისია შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

   სკოლას მიეცა რჩევა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სკოლის სასწავლო გეგმაში დეკლარირებული მისია, ხედვა და ღირებულებები შესაბამისობაში მოიყვანოს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

   სკოლა ყოველდღიურად ზრუნავს შექმნას ისეთი სოციო-კულტურული სივრცე, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს უსაფრთხო, ღია და ხელმისაწვდომ გარემოში მონაწილეობა მიიღოს სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული ხორციელდება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მუდმივი კომუნიკაციის პირობებში. როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს სკოლას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი ნორმები, სკოლის შინაგანაწესის სახით, სადაც გათვალისწინებულია როგორც პასუხისმგებლობის ზომები, ისე წახალისების მექანიზმები. სასკოლო საზოგადოებისათვის შექმნილია უსაფრთხო გარემო.

   მოსწავლეებისათვის, საკუთარი თავის წარმოჩენისა და რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სკოლაში არაფორმალურ განათლებას. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები. ამ კლუბების ფარგლებში მოსწავლეები მუშაობენ პროექტებზე, ახდენენ საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების რეალიზებას. სკოლის კლუბებისა და პროექტების ფარგლებში აქტივობებისა და პრეზენტაციების ჩასატარებლად სკოლაში გამოყოფილია ოთახი, რომელიც აღჭურვილია პროექტორით, კომპიუტერებითა და სადემონსტრაციო მოძრავი ეკრანით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

   სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში აქტიურად არიან ჩართულები მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები. სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და თემის წარმომადგენელი. ამ ჯგუფის შეხვედრებზე შემუშავდა სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის პროექტები.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

   სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, გამჭვირვალობის პრინციპის გათვალისწინებით, სკოლის ფილოსოფიის განმსაზღვრელი დოკუმენტების, (მისია, ხევდა და ღირებულებები) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საშუალებები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, მშობელთა და მოსწავლეთა კრებები. კითხვარების საშუალებით მოხდა მოსწავლეთა, მშობელთა და

მასწავლებელთა გამოკითხვა. უკუკავშირების შესაბამისად სკოლამ შეიტანა ცვლილებები დოკუმენტთა პროექტებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**
   სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. აიტვირთა სკოლის ვებგვერდზე, გამოიკრა საინფორმაციო დაფაზე. სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე დამრიგებლებმა მშობლებს გააცნეს, როგორც სასკოლო - სასწავლო გეგმა, ასევე შინაგანაწესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**
   სკოლის სახელი - **სსიპ -ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლა** - სრულად შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით განსაზღვრულ სტატუსს.
   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარები;
- ვებ გვერდი;
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- 2025-26 სასწ.წ. სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა(2025-2032);
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N2, N3.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით(ბრძანება N1-32, 01/09/2025) დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც სკოლა სტრატეგიული დაგეგმვა მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს:

   - მისიის, ხედვისა და ღირებულებეის შემუშავება გაზიარების პროცესი;
   - მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტარეტეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეატნის პროცესი;
   - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუსავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესი;
   - სტარეტეგიული და სამოქმედო გეგმის მონტორინგისა და შეფასების პროცესი;
   - სტრატეგიული გეგმის ანგარიშისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი;

   სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული არიან:

   ა) დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი;
   ბ) სასკოლო საზოგადოება (სკოლის დირექცია, თანამშრომლები, მასწავლებლები, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეები, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები).

სამუშაო პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც ახორციელებს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის კოორდინაციას, უზრუნველყოფს სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაციას, წვდომას ყველა საჭირო ინფორმაციაზე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განსაზღვრულია ყოველწლიურად, SWOT ანალიზის საფუძველზე ხდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის გადახედვა იგეგმება ყოველი ახალი ციკლის დაწყების წინ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილია ხუთი ძირითადი ეტაპი, რომლითაც სკოლა ხელმძღვანელობს, შესაბამისად სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდ წლიანი და ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ მოხდება ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავება-დამტკიცება, რაც მის ციკლურობაზე მიუთითებს. სტრატეგიული გეგმის მიზნები ხედვასთანაა თანხვედრაში და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სამუშაო ჯგუფმა თავდაპირველად შეიმუშავა განვითარების სტრატეგიული მიზნების სამუშაო ვერსია, გააცნო სასკოლო საზოგადოებას, განხილვის შემდეგ მიღებული უკუკავშირების საფუძველზეც შემუშავდა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების საბოლოო რედაქცია, რომელიც სასწავლო წლის დაწყებამდე წარედგინა სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

   სკოლას შემუშავებული აქვს 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განხილულია პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ გეგმის შედგენისას სკოლამ იხელმძღვანელა წინა სასწავლო წლის SWOT ანალიზით, რომელიც განიხილეს ოთხი მიმართულებით: ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. ამავე დროს, სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები თანამშრომლებისთვის, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. მათი მოსაზრებების გათვალისწინება ხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიაში მოცემულია მონიტორინგის შედეგების ანალიზის ცხრილი, რომელშიც აღიწერება სტრატეგიული მიმართულებებისა და დასახული ამოცანების მიხედვით სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულების ხარისხი (შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, არ შესრულდა). მონიტორინგის ცხრილის მონაცემების ანალიზის საფუძველზე სამოქმედო გეგმაში შედის შესაბამისი ცვლილებები.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

   სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები (მტკიცებულებები), რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური), რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანალიზი- მონიტორინგის შედეგი;
- პედსაბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   სკოლის მიერ წარმოდგენილ მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილია შესრულების მონიტორინგისა და შეფასების რეგულაციები. გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 წელიწადში და შვიდი წლის გასვლის შემდეგ. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ივსება ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფის წევრები აფასებენ აქტივობებს შემდეგი სტატუსებით: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“ ან „არ შესრულდა“. ამის შემდეგ

ხდება მონიტორინგის შედეგების ანალიზი და შეფასების პროცესი. მეთოდოლოგიაში გაწერილია მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, მონიტორინგის ინსტრუმენტები და ვადები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**
   სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. მონიტორინგის პროცესს წარმართავს სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი და სკოლის დირექცია, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნიკაციას სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**
   სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ანგარიშები, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე, განიხილება მშობლებთან შეხვედრებზე, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**
   გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. გეგმის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება სკოლის როგორც ძლიერი და სუსტი მხარეები, ისე საფრთხეები და შესაძლებლობები. სისუსტეების იდენტიფიცირებისა და ჩატარებული სამუშაოების შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში შედის ცვლილებები სტრატეგიულ დაგეგმარებაში და მიღებული გამოცდილებას გაითვალისწინებენ მომავალი სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია;

- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

   სკოლას შედგენილი აქვს ორგანიგრამა, რომლითაც ვიზუალურად უფრო მარტივად აღსაქმელია სკოლის ორგანიზაციული მოწყობა. იგი მოიცავს კოლეგიალურ სტრუქტურულ ერთეულებს: სამეურვეო საბჭო, დირექცია, ადმინისტრაცია, პედაგოგიურ საბჭო, დისციპლინურ კომიტეტი, საგნობრივი ჯგუფის კათედრები და მოსწავლეთა თვითმმართველობა. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობენ ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდებით'' გაწერილი უფლებამოსილების ფარგლებში. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, ისგ ჯგუფი, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების

აღმწერი დოკუმენტი. დოკუმენტში გაწერილია როგორც პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

   სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ყველა თანამშრომელი, რომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით, შინაგანაწესითა და ხელშეკრულებებით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. ყველა კოლეგიური/სტრუქტურული რგოლი იკრიბება სამუშაო შეხვედრებსა და სხდომებზე და არსებით გადაწყვეტილებებს აფიქსირებენ ოქმის სახით. საგნობრივი კათედრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ქმნიან სასწავლო პროგრამებსა და სასწავლო რესურსებს. სკოლის მიერ შემუშავებული თანამდებობრივი ინსტრუქციით გაწერილია ანგარიშვალდებულების სისტემა, თუ ვის ექვემდებარებიან და ვის წინაშე არიან უშუალოდ ანგარიშვალდებულები საქმიანობის განხორციელებისას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და ოქმი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის სტრუქტურა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და მორგებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაარსს. დოკუმენტი მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებსა და გამოყენების სფეროს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების ღირებულებებს, ადამიანური რესურსების მართვის ციკლს, სამუშაო აღწერილობებს, კადრების მოზიდვა/შერჩევას, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები, ასევე, წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია პერსონალის მართვის ისეთ სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების უწყვეტობა. სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფი ახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას; მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას და შეფასებას; მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე; საჭიროების შემთხვევაში, ადგენს გაკვეთილებზე დასწრების განრიგს; მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს; აძლევს რეკომენდაციებს პროფესიული განვითარების მმართულებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი დაწესებულებაში თანამშრომელთა მიღების წესი. სკოლაში მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის/სპეციალური მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კონკურსის გამოცხადების წესი და

პროცედურების დოკუმენტი. საკონკურსო განაცხადი თავსდება საჯარო სკოლის სივრცეში და ასევე - ელექტრონულ პლატფორმაზე https://teacherjobs.ge/. კონკურსის სამართლიანად, ობიექტურად, მოუკერძოებლად და გამჭვირვალედ ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვრება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც, ასევე, გათვალისწინებულია მოწვეული პირები: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლები. საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს კონკურსის ეტაპების ჩატარებასა და კონკურსანტების შერჩევის პროცესს. შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვადის დაცვით იღებს გადაწყვეტილებას საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კანდიდატის შერჩევის თაობაზე. ინკლუზიური განათლებაში ჩართული სპეციალისტების შერჩევა, ასევე, ხდება კონკურსის წესით, ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, ასევე, სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზაციების შესაბამისად. თანამშრომელთა პირად საქმეებში არის კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. თანამშრომელთა პირად საქმეებში არის კანონით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული და მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. მასწავლებლების კვალიფაკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ასევე შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან პერსონალის კვალიფიკაცია. სკოლას პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებთან ერთად გაწერილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მასწავლებლების და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება კანონმდებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში პერსონალის მართვა დამყარებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე. სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს პედაგოგიური საბჭოს და კათედრების მუშაობა. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

   სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია დასაქმებულის წახალისების სახეები. შინაგანაწესის თანახმად პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმას. გარდა ამისა, სკოლა რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას სკოლის თანამშრომლეთა მიღწევების და განხორციელებული აქტივობების შესახებ სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- საშტატო განრიგი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- eSchool ბაზის მონაცემები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- კონკურსის გამოცხადების წესი და პროცედურების დოკუმენტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

   სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული განვითარების მექანიზმებს. სკოლაში შეიქმნა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მთავარი მიზანია მასწავლებლების პროფესიული საჭიროების განსაზღვრა, მათ საქმიანობაზე დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის, გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

   სკოლის მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი აფასებს შესრულებული სამუშაოს, გამოკვეთს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, შემდეგ კი შედეგების ანალიზის საფუძველზე წლის ბოლოს გეგმავენ მიზნობრივი განვითარების პროცესს. დაგეგმვა-განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან აქტივობებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებულ სერვისებს. მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ ტრენინგ-

კურსებსა და პროექტებში. ისინი სისტემატიურად მონაწილეობენ კურიკულუმის შექმნის საგნობრივ ტრენინგებში და შემდგომ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივი მუშაობით ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს. დირექციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ლიდერობის მიმართულებით ტრენინგებსა და კონფერენციებში. საჭიროების შემთხვევაში ხდება ადმინისტრაციის წარმომადგენლების გადამზადებაც. მიმდინარე წელს მოხდა ბიბლიოთეკარის, ბუღალტრის გადამზადება. მასწავლებლის სახლის ორგანიზებით ტრენინგი ჩაუტარდა სკოლის დირექტორს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

მასწავლებლებისათვის კარიერულ წინსვლას არეგულირებს "მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა", რომლის უმთავრესი მოთხოვნა, რომ თითოეულმა სკოლამ შექმნას საკუთარი ხარისხი უზრუნველყოფის მექანიზმი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს პერსონალის ჩართულობას პროფესიული განვითარების აქტივობებში. იღებს მონაწილეთა უკუკავშირს აღნიშნული ღონისძიებების შესახებ და აფასებს აქტივობის ეფექტიანობას. დოკუმენტის თანახმად, პერსონალის პროფესიული განვითარების შესახებ ინფორმაციას დირექტორი იყენებს პერსონალის კარიერული წინსვლის გეგმის შემუშავებისთვის. ეტაპობრივად ხორციელდება მასწავლებელთა თვითშეფასების/შეფასების განხილვა. სკოლას შემუშავებული აქვს გაკვეთილის შეფასების რუბრიკა, რომლის საფუძველზეც ვლინდება პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და იგეგმება პერსონალის განვითარების აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, სკოლის სასწავლო გეგმასა და ადაპტაციის წესში, რომელშიც აღწერილია ახალი თანამშრომლის კოლექტივთან ადაპტაციის პროცედურები. ადაპტაციის პროცესს სკოლა იწყებს სამუშაოს დაწყებამდე და დოკუმენტში ასევე აღწერილია თითოეული აქტივობა, პასუხისმგებელი პირი და აქტივობის განხორციელების პერიოდი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, რომლის თანახმად განსაზღვრულია პერსონალის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. შეფასების შედეგების შესაბამისად განსაზღვრულია თანამშრომლის წახალისების ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, ფასიანი საჩუქრით

დაჯილდოება და სხვა. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მიზნით კათედრებზე ხშირად ტარდება სხვადასხვა აქტივობები, რის შემდეგ ხდება პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება. სკოლის დირექცია, კათედრების მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს ამ გეგმის შესაბამისი ინიციატივების განხორციელებას: ტრენინგები, ვებინარები და სხვა. სკოლა მხარს უჭერს თანამშრომელთა ინოვაციურ წამოწყებებს და ახდენს მათ წახალისებას. სკოლის მხრიდან წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივებიც, რომელიც მოტივაციას აძლევს მასწავლებელს. სკოლა კანონმდებლობის ფარგლებში ხელს უწყობს მასწავლებლის ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც მიზანმიმართულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებისაკენ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაკვეთილის შეფასების რუბრიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ადაპტაციის წესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

   სკოლას არ აქვს შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც მიმართული უნდა იყოს, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესის დაგეგმვისაკენ და, მეორე მხრივ, ხელს უწყობდეს ამ პროცესის განხორციელებას, მათ შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების განსაზღვრას. სკოლამ წარმოადგინა დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების (კათედრები, პედაგოგიური საბჭო) მუშაობის ამსახველი მტკიცებულებები, საგაკვეთილო დაკვირვების ფორმები, თუმცა არ ჩანს რა დოკუმენტზე დაყრდნობით მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობები.

   სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციზსთან ერთად წარმოადგინა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მიზნები, სკოლის პროცესები, რისკების შეფასება და წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა, შემოწმება, შეფასების განხორციელება, დასკვნის შედგენისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმები, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

   სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციზსთან ერთად წარმოადგინა სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის განხორციელების პროცესების აღმწერი დოკუმენტი. დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების იდენტიფიცირებას. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია ამ დოკუმენტში.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**
   სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების /მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების საჩივრების განხილვის წესი. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის განცხადებისა და საჩივრის წესის შესაბამისად. საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის მოქმედებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი დისციპლინური გადაცდომების განსახილველად. დისციპლინურ კომიტეტში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი მოსწავლეები (მოსწავლეთა თვითმმართველობის წარდგენით), მშობლები (სამეურვეო საბჭოს წარდგენით), მასწავლებლები (პედსაბჭოს წარდგენით); სკოლის შინაგანაწესში მკაფიოდ არის გაწერილი დისციპლინური სახდელები და დარღვევათა ტიპები. სკოლა საჭიროების შემთხვევაში ქმნის სააპელაციო კომისიას. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სემესტრული გამოცდის დანიშვნის წესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**
   სკოლის ყველა პერსონალის/მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებულია სკოლის შინაგანაწესი, მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი; სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია მათი უფლებები და მოვალეობები. ასევე ისინი ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, „გასაჩივრების დეტალურ პროცედურებს", სადაც ასახულია გასაჩივრების წესი და მათი უფლებების დაცვის მექანიზმები. პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი. მასში ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და პასუხისმგებლობის სახეები. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე იზღუდება სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრის უფლება, სკოლა მას განუმარტავს უფლების შეზღუდვის საფუძველს და აუცილებლობას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები აღწერილია შინაგანაწეში, შესაბამის მუხლში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ხელშეკრულებები;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

   მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები ციკლური პროცესია. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მაგ. საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები და ა.შ. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომლის თანახმად განსაზღვრულია მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები. მშობელთან კომუნიკაცია და მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება მშობელთა კრებებზე კანონმდებლობით დადგენილი კონფედენციალურობის დაცვით, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, (ელექტრონული ჟურნალი შეფასება, კომენტარი) მშობელთა ინდივიდუალური შეხვედრებით, ელექტრონული ფოსტის, ტელეფონის, სოციალური ქსელის მეშვეობით. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რითაც დადგენილია უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების პროცედურები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში კანონმდებლობითაა განსაზღვრული კოლეგიალური ორგანოების სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მრჩეველთა საბჭოს არსებობა, რომელიც დაკომპლექტებულია მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შექმნილი სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- თვითმმართველობის დებულება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- სკოლის ვებ.გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

   სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოები დასაცავად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, უსაფრთხოების პოლიტიკა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. მაგრამ **სკოლის შენობებსა და სკოლის ეზოებში უსაფრთხოების დაცვა ვერ ხორციელდება.** სკოლას არ ჰყავს დღის დარაჯი (არც ერთ შენობაში), ჰყავს მხოლოდ ღამის დარაჯი. **სკოლაში არ ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური. არ იყო სათვალთვალო კამერები შიდა და გარე პერიმეტრზე.**

   სკოლის პირველი კორპუსის ჭიშკარი ღიაა და არ კონტროლდება შემსვლელ-გამომსვლელი, სკოლის ფასადის მხრიდან არის საკმაოდ დაბალი ქვის ღობე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ეზოს დაცულობას. სკოლის შენობას აქვს ღია 5 შესასვლელი, რომლებიც ღიაა და ასევე არ კონტროლდება;

   მეორე კორპუსში ყველა ოთახის კარი გამოდის ღია აივანზე (მათ შორის სველი წერტილები), მართალია მასწავლებელები ყურადღებით მორიგეობენ, მაგრამ ღია აივანი მაინც საფრთხის შემცველია.

   ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას არ წარმოუდგენია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა.

   სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. **სკოლას მიეცა რჩევა, იზრუნოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმებაზე, შრომის უსაფრთოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან დაკავშირებით;**

   სკოლას არ აქვს შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის მდგრადობის დასკვნა.

შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკურ რეგლამენტთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. **სკოლამ, თვითშეფასებასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1 ინდიკატორის მიმართ, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია: ა) უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება - 25.02.2026წ.-25.02.2027წ., ბ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება - 26.02.2026წ.-26.02.2027წ..**

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1 ინდიკატორის მიმართ, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია: ა) სათვალთვალო კამერების დამონტაჟება შიდა და გარე პერიმეტრზე - 13.06.2026წ.-13.06.2027წ.; ბ) დღის დარაჯის შტატის განსაზღვრა - 13.06.2026წ.-15.09.2026წ..

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს ერთი ექიმი-პედიატრი, პირველ შენობაში. ამავე შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. ექიმი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, სადაც გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი დახმარების პროტოკოლი. **სკოლის მეორე შენობაში არ ფუნქციონირებდა სამედიცინო კაბინეტი და ამ კორპუსში სკოლას არ ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი/ექთანი.**

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.2 ინდიკატორის მიმართ, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია: სკოლის მეორე შენობაში სამედიცინო კაბინეტის მოწყობა; შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის/ექთნის პოზიციაზე ვაკანსიის გამოცხადება და დასაქმება - 13.06.2026წ.-15.09.2026წ..

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლის პერსონალი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით.'' საკლასო ოთახებში და დერეფანში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია მორიგე მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე, როდესაც დირექტორის მოადგილე ატარებს გაკვეთილებს, ჩანაცვლება ხდება მორიგე მასწავლებლებით. დისციპლინურ გადაცდომებზე სკოლა რეაგირებას ახდენს შინაგანაწესით დადგენილი ნორმებისა და პროცედურების გათვალისწინებით, დისციპლინური წარმოების ფარგლებში ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის შინაგანაწესის, სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის, ახალი თანამშრომლისა და მოსწავლის ადაპტაციის წესის, სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილისა და სადამრიგებლო პროგრამების მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. სკოლა სისტემატურად ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობის დაცვაზე. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს სკოლის ერთ-ერთ პრიორიტეტს და ინტეგრირებულია როგორც სასწავლო, ისე აღზრდით პროცესში. სკოლის დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში სისტემატურად აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას ურთიერთპატივისცემის, უსაფრთხო ქცევის, ბულინგისა და ძალადობის პრევენციის საკითხებზე და ზრუნავენ თანასწორი, მხარდამჭერი გარემოს ჩამოყალიბებაზე. სკოლაში დაგეგმილი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო აქტივობები მიზანმიმართულად არის ორიენტირებული მოსწავლეთა ფსიქოლოგიური უსაფრთხოების, ემოციური კეთილდღეობისა და პოზიტიური სასკოლო კლიმატის უზრუნველყოფაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური პირობებს დაცვის მექანიზმი. სკოლას საშტატო განრიგით ჰყავს 2 დამლაგებელი პირველ და 1 დამლაგებელი მეორე კორპუსში.

დაწესებულების პირველი კორპუსის ეზოში არის სანიტარული კვანძი, თითო განყოფილება ცალკე გოგონებისა და ცალკე ვაჟებისთვის. პედაგოგებისა და სხვა პერსონალისთვის სანიტარული კვანძი დამოუკიდებელი შესასვლელით არ არსებობს.

მეორე შენობაში სანიტარული კვანძი განთავსებულია პირველ სართულზე. სველი სანიტარული წერტილები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით. მეორე კორპუსის მეორე სართულზე არის ავზი ტექნიკური წყლით, რომელიც გამოიყენება სანიტარულ-ჰიგიენური მიზნებისთვის.

სკოლის ორივე კორპუსში სასმელად გამოყენებულია ეზოში არსებული ჭის წყალი, რომელიც შეესაბამება სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს, ამოწმებს სკოლის ბიოლოგი სპეციალური აპარატით - წელიწადში მინიმუმ ორჯერ, ხოლო ბაქტერიოლოგიურ ანალიზს სკოლა ატარებს წელიწადში ერთხელ. სკოლის დერეფნებში განთავსებულია წყლის კულერი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვის, დამუშავების წესები და პროცედურები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პეროსონალსა და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია პერსონალური ინფორმაციის გაცემის პირობები. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს რესურსცენტრთან არსებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესში არის ცალკე პუნქტად გაწერილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ანგარიშვალდებულება (მუხლი 2. პუნქტი 1.), სადაც აღნიშნულია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ანგარიშვალდებულია სკოლის დირექტორის წინაშე, რაც არ შეესაბამება კანონმდებლობას. **სკოლას მიეცა რჩევა:** პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესიდან (მუხლი 2. პუნქტი 1.) ამოიღოს აღნიშნული ინფორმაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დოკუმენტის გაცნობას სკოლაში დასაქმებული პირების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისათვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ყველა დაინტერესებულ პირს განუმარტავს პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპებს. ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი -

რესურსცენტრის თანამშრომელი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურ გვერდზე ხშირად იდება მოსწავლეების ფოტოები, თუმცა ამის შესახებ მშობლებისგან სკოლას თანხმობა მიღებული აქვს. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა, იქნება ეს მატერიალური თუ ელექტრონული სახით, ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. ასევე ხდება მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას. პირადი საქმე ინახება დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირი ბრძანებით დამტკიცებულია საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, დირექტორის მოადგილეებს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

   მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხები, რომელიც იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ლესიჭინეს საჯარო სკოლის მისამართია: საქართველო, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ლესიჭინე და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ლესიჭინე-ოჩხომური. სკოლის შენობა-ნაგებობების საერთო ფართი საქვაბის ჩათვლით არის: პირველი მისამართი - 1732.44 კვ.მ, მიწის ნაკვეთი 18323.00 კვ.მ. მეორე მისამართი - 387.2 კვ.მ, მიწის ნაკვეთი 7901 კვ.მ. სკოლის შენობებს შორის მანძილი დაახლოებით 4-5 კმ-ია. სკოლის ორივე შენობის ეზოებში განთავსებულია უნიკალური მრავალწლიანი ციმბირული ლარიქსის ნარგავები.

პირველი შენობის ტერიტორიაზე განთავსებულია ორსართულიანი სასწავლო კორპუსი და საქვაბე. ამჟამად ამ კორპუსში ირიცხება 148 მოსწავლე. სკოლაში საკლასო ოთახების ჯამური რაოდენობა არის 12, 1 კაბინეტ-ლაბორატორია, სამასწავლებლო, კომპიუტერების ოთახი, დირექტორის კაბინეტი, ბიბლიოთეკა და რესურს-ოთახი, ექიმის კაბინეტი, კლუბებისა და თვითმმართველობის მოსწავლეთა სამუშაო ოთახი, დახურული სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი ეზოში. სკოლის მეორე სართულის ნაწილი გადაკეტილია ტექნიკური გაუმართავობის გამო. მოსწავლეებს წვდომა ამ ნაწილთან არ აქვთ. სკოლა სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგის დაცვისთვის სარეგებლობს ტექნიკური წყლით. შენობა გადახურულია თუნუქის სახურავით.

მეორე შენობის ტერიტორიაზე განთავსებულია ორსართულიანი სასწავლო კორპუსი. ამჟამად ამ კორპუსში ირიცხება 22 მოსწავლე. სკოლაში საკლასო ოთახების ჯამური რაოდენობა არის 8, არის სამასწავლებლო და რესურს-ოთახი, ღია სპორტული მინიმოედანი. ყველა ოთახის კარი გამოდის ღია აივანზე (მათ შორის სველი წერტილები). არ არის საერთო სარგებლობის სივრცეები, ამ კორპუსში არ არის ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლას აქვს შემუშავებული სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, (მოიცავს ლაბორატორიების, სპორტული ინფრასტრუქტურის, რესურს ოთახის გამოყენების წესებს), ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი, პერსონალსა და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. სკოლის ინფრასტრუქტურა, სხვადასხვა სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკაში (პირველ კორპუსში) განთავსებულია როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ასევე, მხატვრული, სამეცნიერო ლიტერატურა. ყველა წიგნი დამუშავებულია ბიბლიოთეკური წესით. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება), სადაც გაწერილია ბიბლიოთეკის მიზნები და ამოცანები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. **სკოლის მეორე კორპუსში არ ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა. შესაბამისად მეორე კორპუსის მოსწავლეები ბიბლიოთეკით ვერ სარგებლობდნენ.** სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სკოლასა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის ცენტრისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გაერთიანებას შორის, რომელშიც გაწერილია თანამშრომლობის პუნქტები:

- სკოლა სოფლის ბიბლიოთეკისათვის გამოყოფს ოთახს;
- სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ისარგებლებენ ადგილზე ბიბლიოთეკის მომსახურებით;

- ბიბლიოთეკის ოთახის რემონტს 2 წლის ვადაში განახორციელებს ქ.ჩხოროწყუს მერია.

ამავე დროს, სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.3 ინდიკატორის მიმართ, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია: სკოლის მეორე შენობაში ბიბლიოთეკის განთავსება - 13.06.2026წ.-13.09.2026წ..
შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა არ იყო ადაპტირებული შშმ მოსწავლეებისათვის. სკოლის პირველი კორპუსის შესასვლელში არის პანდუსი, მაგრამ სკოლას არც ერთ კორპუსში არ აქვს ლიფტი, ან რაიმე მექანიზმი იმისათვის, რომ საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, რომელიც განთავსებულია სართულებზე (გარდა პირველი სართულისა) ხელმისაწვდომი იყოს შშმ პირთათვის. პირველ კორპუსში არ იყო სველი წერტილები შშმ პირებისთვის. მეორე შენობაში არის სველი წერტილი შშშმ პირებისთვის.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.4 ინდიკატორის მიმართ, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია: ა) სკოლის მეორე შენობაში ლიფტის/პანდუსის განთავსება; ბ) ძირითად შენობაში შშმ პირთათვის სველი წერტილის მოწყობა - 13.06.2026წ.-13.10.2027წ..
შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს კიდევ უფრო უკეთეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლის პირველ კორპუსს აქვს სააქტო დარბაზი, რომელშიც ტარდება სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებები. შენობის დერეფნებისა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრულია მოსწავლეთა ნაშრომები. შენობებს აქვს ვრცელი და ნათელი დერეფნები, რაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას აძლევს საშუალებას მიანიჭოს მეტი ფუნქციური დატვირთვა. სკოლაში არის სპეციალურად გამოყოფილი ოთახი, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერით, პროექტორითა და სადემონსტრაციო ეკრანით. ეს ოთახი გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიებებსა და პროექტებზე სამუშაოდ და პრეზენტაციებისთვის. მეორე შენობაში არ არსებობს დერეფნები, საერთო სარგებლობის სივრცეები, ოთახები პირდაპირ გამოდის აივანზე, არ არის სააქტო დარბაზი, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები ტარდება საკლასო ოთახებში. **სინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- ინვენტარიზაციის შედეგები;
- პერსონალსა და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები;
- შიდა აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

   ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის პირველ კორპუსში ხელმისაწვდომია

პერსონალური კომპიუტერები და ლეპტოპები; კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერითა და ლეპტოპით; სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერითა და პრინტერით. რესურსოთახშიც არის კომპიუტერი და პრინტერი, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სამასწავლებლოში და თითოეულ კათედრის ფარგლებში პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მასალები. გარდა ამისა, სკოლა სარგებლობს ელექტრონული ხელმოწერით (ტოკენის) საშუალებით. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს მასწავლებელსა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის გამარტივებულ კომუნიკაციას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მათი შვილების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ.

სკოლის მეორე კორპუსში არის მხოლოდ 1 კომპიუტერი, რომელიც განთავსებულია სამასწავლებლოში, არ ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, შესაბამისად სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება არ არის უზრუნველყოფილი.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.1.1 ინდიკატორის მიმართ, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია: სკოლის მეორე შენობაში კომპიუტერული ლაბორატორიის განთავსება - 13.06.2026წ.-13.09.2026წ..

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, მხოლოდ პირველ კორპუსში. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, მასწავლებლების სარგებლობაშია ასევე ლეპტოპები, პროექტორი და სხვა ტექნიკა საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევს ხელშეწყობისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა. მეორე კორპუსში **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი არ იყო მოსწავლეებისათვის.**

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.1.1 ინდიკატორის მიმართ, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია: სკოლის მეორე შენობაში კომპიუტერული ლაბორატორიის განთავსება - 13.06.2026წ.-13.09.2026წ..

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია;
- ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**
   ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია შემოსული, გასული, შიდა დოკუმენტაცია; ბრძანებების მომზადების, გაფორმების, გამოცემის და მათი აღრიცხვის წესი; ოქმის, წერილის, ცნობის გაფორმების წესი; ხელშეკრულების და სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვის წესი და ა.შ. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow). სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. მისთვის მინიჭებული მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით იგი უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულ მუშაობას. კერძოდ: ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, აგრეთვე, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას; იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. წერილებსა და სამსახურეობრივ ბარათებს სარეგისტრაციო ნომრები და თარიღები ავტომატურად

ენიჭება Eflow-ში რეგისტრაციის მიხედვით. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლას ასევე აქვს სარეგისტრაციო 3 სახის ჟურნალი: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს როგორც სისტემის შიდა (Eflow, eSchool-ის ერთიანი ბაზა), ისე გარე საკომუნიკაციო საშუალებებს. eSchool-ს სისტემის მეშვეობით, ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა. სისტემა ასევე ასახავს სკოლის შესახებ ძირითად ინფორმაციას, აგრეთვე სკოლაში დასაქმებული პერსონალის მონაცემებს, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემებსა და საკონტაქტო ინფორმაციებს. eSchool-ის ბაზაში არის ასევე ასახული სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში ბაზაში ხდება სამეურვეო საბჭოს წევრების ცვლილება, ასევე საშტატო განრიგის პროექტის შეთანხმება. ზოგიერთი ინფორმაცია და დოკუმენტი მიიღება აგრეთვე სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე პირველკლასელთა რეგისტრაცია ხდება ბმულზე registration.emis.ge სკოლას ასევე აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

eSchool.emis.ge-ზე სკოლას აქვს საკუთარი პროფილი. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. აქვეა განთავსებული მასწავლებლების, მოსწავლეები, სახელმძღვანელოების ბაზები. სსსმ მოსწავლეების მონაცემები ასახულია და ატვირთულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები და მიმაგრებულია სპეცმასწავლებელი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც არის სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ სხვადასხვა უწყებებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

   სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. აღნიშნული დასტურდება შემოსული და გასული კორესპონდენციების eFlow ელექტრონილი დოკუმენტბრუნვის სისტემაში გატარებული მონაცემებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- შემოსული და გასული კორესპონდენციები;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სსიპ - განათლების მართვის საინფომაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებ-გვერდს skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია სკოლის გვერდი. სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი (Facebook), სადაც მუდმივად თავსდება ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების (სასწავლო პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადების და სხვა) შესახებ. ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა ე.წ დახურული ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მშობლებს მიეწოდება ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით.

ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში აქტიურადაა დანერგილი უშულო კომუნიკაციის პრაქტიკა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. პერიოდულად იმართება საინფორმაციო სახის შეხვდრები საშუალო საფეხური მოსწავლეებთან, აგრეთვე, სკოლის დირექციის უშუალო მონაწილეობით იმართება შეხვედრები მშობლებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით. ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ეფექტურად იყენებს ზემოჩამოთვლილ საკომუნიკაციო არხებს სასკოლო საზოგადოებასა და ზოგადად დაინტერესებულ პირებთან უწყვეტი და სწრაფი კომუნიკაციისათვის. მიღებული უკუკაშირების გათვალისწინებით იგეგმება ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო- სააღმზრდელო პროცესი. სკოლას აქვს მზაობა მაქსიმალურად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნები, სურვილები და ინიციატივები საქმიანობის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე, შესაბამისი გვერდი skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**
   დაწესებულების ვებ-გვერდი შეიცავს ინდიკატორით განსაზღვრული აუცილებელ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;
- მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

   სკოლა ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას ითავლისწინებს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს, წინა წლის გამოცდილებას და საბიუჯეტო კალენდარს. სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება - „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

   სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს სკოლის დირექტორი, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებები შექავს სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინება სკოლის ფინანსური საქმიანობის, გაწეული ხარჯებისა და შედეგების შესახებ ანგარიში, რომლის საფუძველზეც მოწმდება ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერება. სკოლას შემუშავებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა, რომელიც აისახება ელექტრონულ E-PLAN სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს სკოლის სამეურვეო საბჭო, რომელიც ყოველი წლის არაუგვიანეს 10 დეკემბრისა ისმენს დირექტორის ანგარიშს გაწეული საქმიანობის თაობაზე. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის) წარდგენას შესაბამისი უწყებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი;

- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური ანგარიშისა და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;
- შესყიდვების წლიური გეგმა;
- სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

   სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. სკოლის შინაგანაწესითა და სხვა შიდა მარეგულირებელი აქტებით გარანტირებულია ის, რომ მოსწავლეები სკოლაში, თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებით, მატერიალური თუ ადამიანური რესურსის სერვისით. მათთვის შექმნილია უსაფრთხო, თანამშრომლობითი, ინკლუზიური გარემო. სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები, ასევე მათი დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ფორმები, სკოლაში შექმნილია დისციპლინური

კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების გადაცდომის საკითხებს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის საქმიანობაც მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

   სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ცენტრალურ ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე. შესაბამისად, სასკოლო საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სასკოლო რეგულაციებს. ძირითადი წესების საჯაროობასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფენ დამრიგებლები, რაც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შინაგანაწესის შესავალ ნაწილში. სკოლის შინაგანაწესის შექმნის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, თვითმმართველობა), რომელიც განიხილავს შინაგანაწესის პროექტს და წარმოადგენს რეკომენდაციებს, აგრეთვე გაცნობა ხდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზეც. შინაგანაწესის შესავალ ნაწილში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

   მოსწავლე/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება შემუშავებულია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. მასში ასახულია მოსწავლისა და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- რეფერირების წესი;
- გასაჩივრების წესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

   სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა ხორციელდება დადგენილი წესით, კერძოდ, მოსწავლე რეგისტრირდება ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მინისტრის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად. ხოლო სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების შესაბამისად, ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. მოსწავლეთა მობილობის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის შინაგანაწესშიც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

   სკოლა იცავს და ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ეროვნული სასწავლო გეგმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი"-თ, სასკოლო სასწავლო გეგმითა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად და უზრუნველყოფს მოსწავლის ჩარიცხვას და საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

   სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლის პერსონალი პროგრამების, სერვისების, აქტივობების რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დროს იცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეებს სკოლა აქტიურად ეცნობა და ითვალისწინებს საკუთარ საქმიანობაში. სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისეა შემუშავებული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები დაინტერესებული პირებისათვის, სიახლეებისა და ცვლილებების შესახებ. ინფორმაცია თავსდება სკოლის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

   სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სხვადასხვა აქტივობების შესახებ, კერძოდ სკოლაში ჩატარებული ღონისძიებები, პროექტები, ღია გაკვეთილები, კონფერენციები და სხვა. ინფორმაციის განახლება ხორციელდება რეგულარულად და არადისკრიმინაციული ხასიათისაა. მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისათვის სკოლა ახდენს მშობელთა ინფორმირებას და მათგან იღებს თანხმობას. ინფორმირებისა და თანხმობის რეგულაციები გაწერილია მოსწავლეს/მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის დადებულ ხელშეკრულებაში. სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს ჩართვის შესაძლებლობა, აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სკოლაში არსებული ნებისმიერი რესურსით, დისკრიმინაციის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“;

- სკოლის სოციალური ქსელი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შინაგანაწესი
- ხელშეკრულება მშობლებთან;
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**
   მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, დამრიგებლის ფუნქცია მოვალეობებისა და ვალდებულებების ნაწილში და სკოლის შინაგანაწესშიც. სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, „ტრანზიციის დებულება“. გაწერილია პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლის ადაპტაციის პირობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**
   სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეთა მიღებას და მათ ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. დამრიგებლები, სხვადასხვა აქტივობებით, მაგალითად სკოლის დათვალიერება და გაცნობა, საუბრებით სხვადასხვა თემაზე, წესების

ერთობლივად შემუშავებისა და სხვა გზით სწავლის დაწყების მომენტიდან იწყებენ მოსწავლეთა ადაპტაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეებს უტარდებათ დამატებითი გაკვეთილები. მიეწოდებათ უკუკავშირი, საჭიროების შემთხვევაში, ხდება მოსწავლეთა კონსულტირება. სკოლის ყველა მოსწავლეს შეუძლია კონსულტაცია მიიღოს საგნის მასწავლებისაგან აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. სემესტრის მანძილზე ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზისას გამოვლენილი მიგნებების, ეფექტური უკუკავშირის, განმავითარებელი კომენტარებისა და რეკომენდაციების საშუალებით მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება აიმაღლონ აკადემიური მოსწრება. მოსწავლის აკადემიური მიღწევების მხარდასაჭერად სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია გამოცდის ტიპები (სემესტრული, ექსტერნი, საშემოდგომო, წლიური). სემესტრული გამოცდის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია აიმაღლოს ქულა, საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდის წინ ინიშნება კონსულტაციები მოსწავლეებისათვის. მასწავლებლები დავალებების დამუშავების ეტაპებზე, ასევე აქტივობების დაგეგმვისას იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეებს თვითრეალიზებაში, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების ფორმაში არის გაწერილი მოსწავლის უფლებები. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ ყველა მოსწავლეს აქვს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლემ ისარგებლოს შინ სწავლებით. სკოლა უზრუნველყოფს: მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარების, მოსწავლეთა სირთულეებისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და დახმარების პროცესის, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის, მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქო-ემოციური განვითარების ასევე, მოსწავლეთა უფლებების დაცვის ხელშეწყობას.
სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების კლუბები, რომელშიც გაწევრიანება ნებაყოფლობითი და შესაძლებებლია ნებისმიერი დაინტერესებული მოსწავლისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ითანამშრომლონ, წარადგინონ და განახორციელონ ინიციატივები. სკოლაში განხორციელებულ პროექტებში დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა

ინიციატივებს, ინიციატივეების წახალისებასა და მხარდაჭერას. სკოლის სოციალურ ქსელში არის განთავსებული ღონისძიებებისა და პროექტების ამსახველი მასალა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**
   მოსწავლეთა უკუკავშირის მიზნით სოციალურ ქსელებში შექმნილია მოსწავლეთა და მშობელთა ჯგუფები. უკუკავშირის მიღება ხორციელდება მშობელთა გაერთიანებულ შეკრებებზე, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელების საშუალებით. მიღებულ უკუკავშირს სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ადაპტაციის წესი;
- ტრანზიციის დებულება;
- განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები სოციალურ ქსელში;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**
   სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. სკოლა მოსწავლეებს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ. სკოლაში დამრიგებლის საათში ჩაშენებულია პროექტი, რომელიც აცნობეს ცალკეულ პროფესიათა თავისებურებებს, ხდება სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მოწვევა, სადაც ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესი, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურზე, ხშირია ექსკურსიები სხვადასხვა საწარმოებში, XI-XII კლასის მოსწავლეების შეხვედრები უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

   სკოლა მოსწავლეებს სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ. ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

   მიმდინარე სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რომელიც ხორციელდება სკოლაში, სკოლა აპირებს მომსახურების ხარისხიანობის შეფასებასა და გაუმჯობესებას. მშობელთა კრებებსა თუ ინდივიდუალურ შეხვედრებზე მოხდება მშობლების, ხოლო მოსწავლეთა თვითმმართველობის ან დამრიგებელთა საშუალებით კი - მოსწავლეთა მოსაზრებების მოსმენა, რომელიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მასალები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

   სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლება. მასში დეტალურადაა გაწერილი სსსმ მოსწავლეთა შეფასების მექანიზზმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ძირითადი საკითხები, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და შინსწავლების საკითხები (საჭიროების შემთხვევაში), ასევე სსსმ მოსწავლეთა

უფლებები. სკოლას „მოსწავლეთა ადაპტაციის წესში" აქვს გაწერილი სსსმ მოსწავლეებისათვის სერვისების მიწოდების რეგულაციები. სკოლის ორივე კორპუსში სსსმ მოსწავლეებისათვის განსაზღვრულია რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერითა და პრინტერით. სკოლაში ირიცხება 1 სსსმ მოსწავლე და 1 უფროსი სპეცმასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ისგ ჯგუფის შეხვედრის შემდეგ საგნის მასწავლებლები განსაზღვრავენ მოსწავლის აქტუალურ დონეს, ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. მოსწავლის შესაძლებლობისა და უნარების გათვალისწინებით იწერება მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნები, აქტივობების შერჩევა და სასკოლო დავალებების ადაპტირება. სპეციალური მასწავლებელი შეიმუშავებს ინტერვენციის გეგმას, ადგენს რესურს ოთახში მოსწავლესთან მუშაობის ცხრილს. ამ პროცესში ჩართულია მშობელი და გათვალისწინებულია მისი ინტერესები. მშობლებისთვის სასწავლო პროცესი არის გამჭვირვალე, სკოლაში გუნდურად ხდება მუშაობა მოსწავლის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, მეგობრებთან ურთიერთობაზე. სკოლა იცავს მოსწავლის კონფიდეციალურობას, მოსწავლის პორტფოლიო და პირადი საქმე ხელმისაწვდომია მხოლოდ ისგ ჯგუფის წევრებისთვის, რესურს ოთახში გაკრულია მეცადინეობების განრიგი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და წესი;
- ხელშეკრულება სპეცმასწავლებელთან;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ისგ სხდომის ოქმი;
- სპეცმასწავლებლის პორტფოლიო;
- რესურსოთახის განრიგი;
- საშტატო განრიგი;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   კანონმდებლობით დადგენილი წესით, სკოლას არ აქვს იჯარით გაცემული ფართი. სკოლა სარგებლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვეპროგრამის ,,ტრანსპორტირება" მხარდაჭერით და სთავაზობს მომსახურებას მოსწავლეებს, რომელთაც სკოლამდე გასავლელი აქვთ 2 კილომტრზე მეტი მანძილი. სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან სკოლას აქვს დადებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ყოველდღიურად აღრიცხავს ტრანსპორტის გადაადგილებას. დირექტორის მიერ დამოწმებული შევსებული ტაბელი ყოველთვიურად ეგზავნება რესურსცენტრს.
   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას, გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სამომავლოდ სკოლა გეგმავს კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებისა და მათი სურვილების გათვალისწინებით შესთავაზოს მოსწავლეებს არასავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურება. ფიქრობენ ისეთი სერვისის შეთავაზებას, რომლის განხორციელებისთვისაც არ არსებობს უფლების მოპოვების ვალდებულება, თუმცა მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ყველა იმ ნორმის დაცვა, რომელიც მოსწავლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და მისი ინტერესების საფუძველზეა შეთავაზებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ნებართვები;
- სატრანსპორტო ხელშეკრულება;
- ტრანსპორტის ტაბელი;
- ტრანსპორტის ცხრილი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

სასკოლო კურიკულუმი **ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება**

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

   დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის №2-32 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია", რომელიც განსაზღვრავს სასწავლო გეგმის ფორმირების ფუნდამენტურ პრინციპებსა და პროცედურებს. დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის შემუშავების პროცესი არის ინკლუზიური და მასში აქტიურად მონაწილეობს სასკოლო საზოგადოების ყველა ძირითადი ჯგუფი: პედაგოგები, ადმინისტრაცია, მოსწავლეები და მათი მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები. მეთოდოლოგია დეტალურად არეგულირებს მასწავლებელთა და დირექციის ფუნქციურ გადანაწილებას პროცესში. ამასთან, გამოწვევების იდენტიფიცირება და განხილვა ხორციელდება მოსწავლეებსა და მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციით, რაც უზრუნველყოფს მათი შეხედულებებისა და ინტერესების ადეკვატურ ასახვას სასწავლო გეგმაში.

   ხაზგასმულია, რომ კურიკულუმის განვითარება ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ პრიორიტეტებს და აძლიერებს კავშირს საზოგადოების წევრებს შორის. დოკუმენტი აფიქსირებს პრინციპულ მიდგომას, რომ კურიკულუმის წარმატებული დანერგვა პირდაპირპროპორციულია შინაარსის გაზიარებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხარისხისა. კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან ნათლად იკვეთება, რომ კურიკულუმის განვითარება განიხილება, როგორც უწყვეტი, დინამიკური პროცესი.

   ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტში ცალსახად დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განვითარება ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებაზე. დოკუმენტი კურიკულუმს განიხილავს, როგორც მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშემწყობ სტრატეგიულ გზამკვლევს. მასში ხაზგასმულია, რომ კურიკულუმის წარმატებული დანერგვა პირდაპირკავშირშია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ მისი შინაარსის გაზიარებასა და განვითარების პროცესში მათ აქტიურ ჩართულობასთან.

აღნიშნული მიდგომის პრაქტიკული რეალიზაცია დასტურდება საგნობრივი კათედრების წევრებთან ინტერვიუების საფუძველზე, რომელთა თანახმადაც, სასკოლო სასწავლო გეგმის, ისევე როგორც ფორმალური და არაფორმალური განათლების ღონისძიებების დაგეგმვა ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების დიაგნოსტირების საფუძველზე. სკოლა ადასტურებს მზაობას, რეგულარულად ჩაატაროს გამოკითხვები მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან საჭიროებათა დაზუსტების მიზნით, რათა მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მოხდეს კურიკულუმის დროული მოდიფიცირება. თითოეული მოსწავლის ინტერესები სათანადოდ არის ასახული საგნობრივ კურიკულუმებში.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას და წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმების საფუძველზე იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება გუნდური მუშაობისა და მჭიდრო თანამშრომლობის პრინციპებს. პედაგოგები აქტიურად იზიარებენ კოლეგიალურ გამოცდილებასა და ითვალისწინებენ ერთმანეთის რეკომენდაციებს, რომლებიც ეყრდნობა გასული სასწავლო წლების განმავლობაში განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის ანალიზს. შესაბამისად, კურიკულუმის განვითარების პროცესი სკოლაში მიმდინარეობს თანამშრომლობით გარემოში, სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესებისა და შესაძლებლობების სრული გათვალისწინებით, რაც შესაბამისობაშია დადგენილი ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიისა" და საგნობრივი კათედრების სხდომების ოქმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ფორმირება ხორციელდება პედაგოგებისა და დირექციის მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი ეყრდნობა პრაქტიკული საქმიანობის შედეგად გამოკვეთილ მიგნებებსა და გამოცდილებას.

კათედრების წევრები ერთობლივად ახდენენ მიღწეული შედეგების რეფლექსიას, რის საფუძველზეც განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის პრიორიტეტებს, სათანადო საგანმანათლებლო აქტივობებსა და რესურსებს (როგორც ძირითადს, ისე დამხმარე). პედაგოგები თანხმდებიან ეროვნული სასწავლო სტანდარტით განსაზღვრულ თემატური ბლოკების ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებსა და შემოქმედებით დავალებებზე, აგრეთვე ერთობლივად შეიმუშავებენ შეფასების ვალიდურ ინსტრუმენტებსა და რუბრიკებს.

სკოლაში დამკვიდრებულია ეფექტიანი პრაქტიკა: სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება მთლიანი სასწავლო პროცესის შეჯამება. ამ ანალიზისა და გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მუშავდება განახლებული საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ინტერესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებაზე.

პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში დადასტურდა, რომ კურიკულუმების შემუშავებისა და შინაარსობრივი დახვეწის პროცესში აქტიურად არის ჩართული საგნობრივი კათედრების ყველა წევრი. კოლეგიალური თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისად. შედეგები განისაზღვრება საფეხურების მიხედვით და ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებასა და ჰოლისტურ ზრდაზე.

ამრიგად, საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებული ჩარჩოების, სასკოლო სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის" განხილვისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება, რომ კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის" თანახმად, კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, მათ ინფორმირებასა და უკუკავშირის მექანიზმების უზრუნველყოფას. ამ მიზნით, სკოლა იყენებს მრავალფეროვან საკომუნიკაციო არხებს, მათ შორის: ვებგვერდს, ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ მედიას, ბეჭდით მასალებსა და საჯარო ღონისძიებებს.

სკოლაში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია. კერძოდ, ფოიეში საინფორმაციო დაფასა და საკლასო ოთახებში განთავსებულია: შინაგანაწესი, სადამრიგებლო საათის პროგრამები და სხვადასხვა აქტივობები.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი გაზიარებული აქვთ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს - პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. პედაგოგები საგნობრივი კათედრების სხდომებზე აქტიურად განიხილავენ და უზიარებენ ერთმანეთს სწავლების შედეგებს. ისინი აანალიზებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ გამოწვევებსა და ამ ანალიზის საფუძველზე გეგმავენ სამომავლო ნაბიჯებს. ამასთან, სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული სასკოლო ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პედაგოგებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, დასტურდება, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის ყველა მასწავლებელი და დირექცია. შესაბამისად, კურიკულუმის შინაარსი მათ მიერ გაზიარებული და ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრის ოქმები;
- სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის N1 საჯარო სკოლის დამრიგებლის ოქმები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ამასთან გასათვალისწინებელია შემდეგი რჩევები: **რჩევა:** სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების *I – IV კლასის* კურიკულუმის ჩარჩოში გაიწეროს სამიზნე ცნებები ეროვნული სასწავლო გეგმის მე-10 მუხლის შესაბამისად, ანუ უნიფიცირებული V-VI კლასის ბუნებისმეტყველების სამიზნე ცნებებთან; **რჩევა:** ბუნებისმეტყველების მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმებში ჩაიწეროს სავალდებულო თემები სტანდარტის შესაბამისად. სტანდარტის თანახმად, მე-3 კლასში ორი სავალდებულო/სარეკომენდაციო თემაა: 1) ჩემი ქვეყნის ბუნება და 2) მზის სისტემა; მე-3 კლასის წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში მოცემულია ორის ნაცვლად ექვსი თემა: 1) მზის სისტემა; 2) ყვავილოვანი მცენარეები, 3) ბუნებრივი მოვლენები, 4) სინათლე და სითბო, 5) ძუძუმწოვრები და მათი გარემო, 6) ბგერა. თემის ფარგლებში დასამუშავებელია ყველა სამიზნე ცნება; დაქუცმაცებულად წარმოდგენილი ცალკეული თემების ფარგლებში კი ეს ვერ ხერხდება; შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო თემების და სამიზნე ცნებების ფორმულირება შეესაბამებოდეს საგნობრივ სტანდარტს; **რჩევა:** სასურველია, რომ საბაზო საფეხურის ფიზიკის ყველა კლასის კურიკულუმებში თემები ჩაიწეროს შესაბამისი საგნის სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემების ფორმულირებით; ამ ეტაპზე სტანდარტში მითითებული თემების ნაცვლად მოცემულია თემები სახელმძღვანელოს თავების მიხედვით. მაგალითად: ✓ სტანდარტის თანახმად, ფიზიკაში მე-7 კლასში ისწავლება 4 თემა: 1) მოსამზადებელი პერიოდი, 2) ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები, 3) თანაბარი და

	არათანაბარი მოძრაობა, 4) ძალა და წნევა; ფიზიკის მე- 7 კლასის სასკოლო კურიკულუმში მოცემულია 5 თემა და ეს თემებია: 1) ფიზიკის სათავეებთან; 2) ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები; 3) მექანიკური მოძრაობა, 4) სხეულთა ურთიერთქმედება ძალა; 5) წნევა; ✓ სტანდარტის თანახმად, ფიზიკაში მე-8 კლასში ისწავლება 2 თემა: 1)მექანიკური მოვლენები, 2) სითბური მოვლენები; ფიზიკის მე- 8 კლასის სასკოლო კურიკულუმში მოცემულია ორის ნაცვლად 3 თემა, აქედან მხოლოდ ერთი - სტანდარტში მოცემული თემის ფორმულირებით - სითბური მოვლენები; მეორე თემა ორ თემად არის დაშლილი: 1 - მექანიკური მუშაობა, სიმძლავრე, ენერგია; 2 - სხეულთა წონასწორობა, მარტივი მექანიზმები. **რჩევა:** სასურველია, რომ საბაზო საფეხურის ბიოლოგიის მე-9 კლასის კურიკულუმში თემები ჩაიწეროს შესაბამისი საგნის სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემების ფორმულირებით; მე-9 კლასის სასკოლო კურიკულუმში სასწავლო თემის დასახელება მოცემულია შემდეგი სახით „შეგრძნების ორგანოები“, „უჯრედული მეტაბოლიზმი“. სტანდარტის მიხედვით უნდა იყოს „ადამიანის შეგრძნების ორგანოები“; „ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა“, „უჯრედის მეტაბოლიზმი“; **რჩევა:** სასურველია, რომ საშუალო საფეხურის ფიზიკის (XII კლასის) კურიკულუმში თემები ჩაიწეროს შესაბამისი საგნის სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემების ფორმულირებით. ფიზიკის საშუალო საფეხურის სტანდარტის თანახმად, XII კლასის სავალდებულო თემაა “ასტროფიზიკის საწყისები”, ფიზიკის XII კლასის სასკოლო კურიკულუმში ფიქსირდება - “სამყაროს ფიზიკა”. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის №1 საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურზე, კერძოდ კი III – IV კლაებში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნობრივი ჭრილიდან გათვალისწინებულია და ისწავლება საგანი ,,მე და საზოგადოების“. V – VI კლასებში ,,ჩვენი საქართველო“. საბაზო საფეხურზე საგნები: ,,ისტორიის“; ,,მოქალაქეობისა“ ,,გეოგრაფია“ და ,,საქართველოს გეოგრაფია“. საშუალო საფეხურზე კი სავალდებულო საგნები: ,,საქართველოს ისტორია“; ,,მსოფლიო ისტორია“; ,,მოქალაქეობა“ და ,,გეოგრაფია“. აღნიშნული საგნის სწავლების დაგეგმვა და განხორციელება ხდება წინასწარ შედგენილი კურიკულუმის საშუალებით. აღნიშნული დოკუმენტი კი შექმნილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, კათედრის წევ მასწავლებელთა უშუალო

	მონაწილეობითა და ჩართულობით. აღნიშნულ მასწავლებელთა შორის ურთიერთ თანამშრომლობის შედეგად არის შექმნილი საზოგადოებრივი მეცნიერების სწავლების ძირითადი ორიენტირები. სკოლაში შემუშავებული კურიკულუმი ნათლად ავლენს იმ გარემოებას, რომ საგნის კურიკულუმები ნათლადაა ორიენტირებული სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო ნათელი დადასტურებაა იმასა, რომ კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მოსწავლის / მოსწავლეების განვითარების ფიზიკურ, გონებრივ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე მიზნობრივად ორიენტირებული. აღნიშნული საგნის კურიუკულუმის მიზნობრიობა და ორიენტირება არის ცალსახად სრულ შესაბამისობაში სკოლის საერთო ღირებულებებსა და ფასეულობებთან. სკოლისა და მათ შორის საზოგადოებრივი კათედრის ორიენტირებს მკაფიოდ განსაზღვრავს და ასახავს სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი და საგნობრივი სტანდარტის საფუძველზე შექმნილი კურიკულუმი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები, მასში გაწერილი თემები და რესურსები შეესაბამება ესგ-ს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დოკუმენტს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **რჩევა:** სასურველია, რომ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების ქუდში მითითებული იყოს საათობრივი ბადე. ასევე თითოეული თემის გრაფაში ამ თემისთვის განკუთვნილი საათების დაახლოებითი რაოდენობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა), სამივე საფეხურზე შემუშვებული კურიკულუმები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურების და მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ე.ს.გ. მიხედვით). სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და გასაუბრების დროს კათედრის წევრების მიერ მაგალითად მოჰყვანილი შემოქმედებითი დავალებებზე მუშაობის ეტაპების აღწერა გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ ნებისმიერ მოსწავლეს აქვს საშუალება

	მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობი და მოახდინოს თვითრეალიზება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ შემოქმედებითი ხასიათის დავალებებში. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული თემები, სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს შემოქმედებითი ან შემოქმედებითი ბუნების დავალებებს. **რჩევა:** სასურველია გადაიხედოს ზოგიერთი კლასის (მაგალითად, მე-5, მე-7, მე-8, მე-10 კლასის) კურიკულუმი, რათა სამიზნე ცნებებისა და საკითხთა ჩამონათვალის ფორმულირება მოვიდეს სრულ თანხვედრაში ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტთან. ასევე, სამიზნე ცნებებთან ერთად, სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში მიუთითოთ რომელი ქვეცნებები მუშავდება თემის ფარგლებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. პედაგოგთა მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიმართულია აკადემიური დამოუკიდებლობისა და პროფესიული ორიენტაციისკენ. შერჩეული თემატიკა, რომელიც ეფუძნება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, სინთეზირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ ინტერესებთან და სამომავლო კარიერულ მიზნებთან. ეს მიდგომა ხელს უწყობს რთული საგნობრივი ცნებებისა და შედეგების მაღალ დონეზე ინტეგრირებულ ათვისებას, რაც ამზადებს კურსდამთავრებულს უმაღლესი განათლებისა და შრომითი ბაზრისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურის შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; შემუშავებული კურიკულუმე/ბი, მასწავლებლის მიერ შედგენილი თვითშეფასების რესურსი სკოლაზე მორგებულია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, არის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი, რომელიც ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო

	გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. საგანმანათლებლო პროგრამა განისაზღვრება სკოლის პრიორიტეტებისა და ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებასა და ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებაზე. დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლის წინარე გამოცდილებას და მიმართულია ცოდნის კონსტრუირებაზე. კათედრას აქვს კურიკულუმზე მუშაობისა და მისი პრაქტიკაში რეალიზების სათანადო გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - წარმოდგენილი კურიკულუმებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, სასწავლო პროცესი სამიზნე ცნებებზეა ორიენტირებული. სამივე საფეხურის კურიკულუმ-ებში ასახულია სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, ძირითადი საკითხები, კონტექსტ მაგალითები და სასწავლო რესურსები. გარდა ამისა, წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებები ხელს უწყობენ ისეთი გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორებიცაა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, კრეატიულობა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, ამასთან გასათვალისწინებელია შემდეგი რჩევები: **რჩევა:** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავდეს ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში შუალედური მიზნის ფორმულირებასთან დაკავშირებით, დავაზუსტებ, ამ ეტაპზე გვხდება განსხვავებული ფორმულირებები საგნების, ზოგჯერ კი ერთი საგნის ფარგლებში კლასების მიხედვითაც. მაგალითად, ბუნებისმეტყველება, V კლასის კურიკულუმში მოცემულია ასეთი ფორმულირება -"კომპლექსური დავალების იდეა", ბიოლოგია, IX კლასი - "დავალების იდეა/პირობა (შუალედური მიზანი)", ფიზიკა, VII კლასი

	- შემოქმედებითი ტიპის დავალების იდეა (შუალედური მიზანი), ფიზიკა, VIII კლასი - "კომპლექსური დავალების იდეა"; ასეთი არაერთგვაროვნება ფორმულირებაში მიუთითებს, რომ კათედრის მიერ არ არის გაზიარებული ერთიანი მიდგომა, რაც კათედრის მხრიდან შემდგომ მუშაობას მოითხოვს; **რჩევა:** სასურველია, ბუნებისმეტყველების V კლასის კურიკულუმში თემების მიხედვით წარმოდგენილი იყოს შუალედური სასწავლო მიზნები (წარმოდგენილ კურიკულუმში არც ერთი თემის ფარგლებში არ არის დაგეგმილი შემოქმედებითი ტიპის დავალება - შუალედური სასწავლო მიზანი); **რჩევა:** ბუნებისმეტყველების V კლასის კურიკულუმს გაუკეთდეს სატიტულო ნაწილი; სატიტულო ნაწილში მიეთითოს სკოლის სრული სახელწოდება, კურიკულუმის განმახორციელებელი პირი/მასწავლებელი, დაკონკრეტდეს საათობრივი დატვირთვა თემების მიხედვით და დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო (დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა და აკადემიური სტილი სრული რეკვიზიტების - სახელმძღვანელოს დასახელების, ავტორი/ავტორების, გამომცემლობის, გამოცემის წლის - მითითებით); **რჩევა:** სასურველია პროდუქტის, რომელიც უნდა შექმნას მოსწავლემ, მკაფიოდ მითითება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმებში შემოქმედებითი დავალების/დავალების პირობის დაგეგმვისას, როგორც წესი, მითითებულია პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა. როგორც საუკეთესო ფორმულირების მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ფიზიკის მე-11 კლასის სასკოლო კურიკულუმიდან შესაქმნელი პროდუქტის ფორმულირება - "მოსწავლე ამზადებს კომპასს და წარმოადგენს პრეზენტაციას, რომელშიც უნდა ჩანდეს ... (ჩამოთვლილია კრიტერიუმები)". თუმცა, რიგ შემთხვევებში პროდუქტი მითითებული არ არის. მაგალითად, ფიზიკის, მე-7 კლასის კურიკულუმში მოცემულია შემოქმედებითი დავალების ასეთი ფორმულირება: "ჭკვიანი კამერები - რატომ უნდა დავიცვათ სიჩქარის ლიმიტი (დავალების მიხედვით საშუალო სიჩქარის გამოთვლა)". ამ შემთხვევაში დაზუსტებულ ფორმულირებას მოითხოვს, თუ მოსწავლის მიერ რა პროდუქტია შესაქმნელი (პრეზენტაცია, პოსტერი, სხვა). დაზუსტედეს ფიზიკის, მე-7 კლასის კურიკულუმში შემოქმედებითი დავალების ფორმულირება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	ლესიჭინეს თემის სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის ყველა საგნის სწავლება ტრადიციულად სრული შესაბამისობითა და თანხვედრით ხორციელდება და აშკარად განხორციელდება მომდევნო სასწავლო წელსაც, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებზე დაყრდნობით. სწორედ სასწავლო მიზნებთან მიმართებით ყალიბდება ის საკითხები, რაც სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, იგეგმება და განხორციელდება საგნის // საგნების სწავლებისას სავალდებულო თემების გავლით სასწავლო პროცესი. სავალდებულო თემის ფარგლებში შემოქმედებითი - კომპლექსური დავალების ფორმატით დამუშავება ხორციელდება მთელი სასწავლო წლის მანძილზე, წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და თემების გათვალისწინებით. კომპლექსური დავალების დამუშავებით მოცული არის საგნისათვის გათვალისწინებული ყველა ცნება. ყველა სახის დავალება კი მოიაზრებს მოსწავლეებში შემოქმედებითი, კრეატიული, კრიტიკული აზროვნების, ფაქტისა და მოვლები ანალიზის, იდეების გენერირებასა და ორგანიზებას, შეხედულებებისა და მოსაზრებების დაცვას, დასკვნის გამოტანას, არგუმენტის შეფასებას და პრობლემის უნარის გადაჭრის უნარის განვითარებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლადაა ასახული საგნის // საგნების კურიკულუმსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მოცემული თემატური ერთეულები, სამიზნე ცნებები, რესურსები, შემოქმედებითი პროდუქტის იდეები და კონტექსტ-მაგალითები იძლევა ესგ-ს მიერ განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მიღწევის საშუალებას. **რჩევა:** სასურველია, დამატებითი რესურსების მეტი რაოდენობა. როგორც კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან დამატებით რესურსებს, რაც არ არის მითითებული რუსული კურიკულუმებში. სასურველია მათი ასახვა შესაბამის გრაფაში. იმ რესურსების ბმულები, რომლებიც კურიკულუმშია მითითებული, მოქმედია. ინგლისური ენის კურიკულუმების ფორმატი არის კარგად გაწერილი, სასურველია, მსგავსად გაიწეროს რუსული ენის კურიკულუმებიც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილი კურიკულუმები გაწერილია სამიზნე ცნებების მიხედვით, ეყრდნობა ეროვნული გეგმით განსაზღვრულ თემატიკასა და ტექსტებს. სამივე საფეხურზე შეტანილია ისეთი დავალებები, რომლებიც ემსახურება საგნობრივი

	სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. გასაუბრების დროს პედაგოგებმა განიხილეს დავალებები, რომლებზეც იმუშავა მათმა მოსწავლეებმა, აღწერეს დაწვრილებით დავალებებზე მუშაობის პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია შემოქმედებითი ბუნების დავალებით. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. დავალების იდეის გრაფაში მითითებული იყოს მხოლოდ შემოქმედებითი დავალების იდეა, შეფასების რუბრიკის გარეშე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	საშუალო საფეხურის კურიკულუმი პასუხობს ესგ-ის მიზნებს და ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე. კომპლექსური დავალებების მეშვეობით ხდება ცოდნის სიღრმისეული რეალიზება, რაც ამზადებს მოსწავლეებს უმაღლესი განათლებისა და პროფესიული თვითგამორკვევისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ. აღნიშნულ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ და უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომელშიც ასახულია ყველა სასწავლო მიმართულება და სამიზნე ცნება. წარმოდგენილ დავალებების ნიმუშებშიიკვეტება, რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ზოგადად თავსებადია ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მიზნებსა და პრიორიტეტებთან. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით I-II კლასების კურიკულუმში სამიზნე ცნებები და სავალდებულო თემები ვალიდურად არის განსაზღვრული. თუმცა, III-IV კლასების დოკუმენტაციაში ფიქსირდება შეუსაბამობა სამიზნე ცნებებისა და სავალდებულო თემების დასახელებებსა და შინაარსში. **რჩევა:** სასურველია გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები და შედეგები) და სავალდებულო თემები მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის საგნობრივ - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმებში გაწერილია ძირითადი და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები. როგორც წესი, ეს რესურსები მოიცავს: ძირითადი რესურსის სახით გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს (უმეტეს შემთხვევაში შესაბამისი გვერდების მითითებით), მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს - ტელესკოლის გაკვეთილები, Ck-12 საგანმანათლებლო პლატფორმა, ვირტუალური ლაბორატორიები, სხვა ინტერნეტ-რესურსები, ლინკების (წვდომის) ჩვენებით (რაც უდავოდ კარგი პრაქტიკაა),; ამასთან წარმოდგენილი დამხმარე რესურსების ჩამონათვალში არ არის დაფიქსირებული რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები. აგრეთვე, კურიკულუმების ნაწილში ფიქსირდება ძირითად რესურსთან - გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული შემდეგი ხასიათის ხარვეზები: ✓ ბიოლოგია, მე-8 კლასი: სატიტულო ნაწილში მითითებული სახელმძღვანელო (მარინე სეხნიაშვილი. ბიოლოგია მე-8 კლასი გამომცემლობა „კლიო“) განსხვავდება კურიკულუმის ჩარჩოში, სასწავლო რესურსებში მითითებული სახელმძღვანელოსგან (სახელმძღვანელო, (გამომცემლობა ,,ტრიასი“);

	✓ იგივე სიტუაცია ფიქსირდება ფიზიკის მე-7 კლასის კურიკულუმში; სატიტულო ნაწილი ორ ცხრილს მოიცავს: პირველში მოცემულია ძირითად სახელმძღვანელოდ - ფიზიკის გრიფირებული სახელმძღვანელო- გამომცემლობა "გამა" ე. ბასიაშვილი VII კლ (კურიკულუმის ჩანაწერის სტილი დაცულია), მეორეში მითითებულია - **გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო 7 კლაისი „ფიზიკა", ავტორი: ქ.ტატიშვილი. გამომცემლობა,, დიოგენე"** (კურიკულუმის ჩანაწერის სტილი დაცულია); ✓ ანალოგიურ შემთხვევას ადგილი აქვს ქიმიის მე-10 კლასის კურიკულუმში, რომელშიც ორი სატიტულო ნაწილი ფიქსირდება, აქედან პირველში ძირითად სახელმძღვანელოდ მითითებულია -ბუთხუზი, თ. ფაცაცია, ს. კუჭუხიძე, მ. და ხატისაშვილი, თ. 2022, ქიმია, X კლასი, მოსწავლის წიგნი, „საქართველოს მაცნე", ხოლო მეორეში (ლურჯად შეფერილი) – „**სახელმძღვანელო: ავტორი- მ.ვარდიაშვილი, ე.შურღაია გამომცემლობა - ,,ინტელექტი"** (კურიკულუმის ჩანაწერის სტილი დაცულია); **რჩევა:** სასურველია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმების სატიტულო ნაწილში მკაფიოდ დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა და აკადემიური სტილი სრული რეკვიზიტების - სახელმძღვანელოს დასახელების, ავტორი/ავტორების, გამომცემლობის, გამოცემის წლის - მითითებით; **რჩევა:** დაზუსტდეს სასკოლო სასწავლო გეგმასა და კურიკულუმებში მოყვანილი ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოების შესაბამისობა. **რჩევა:** ბიოლოგიის მე-8 კლასის, ფიზიკის მე-7 კლასის, ქიმიის მე-10 კლასის კურიკულუმების სატიტულო ნაწილში მოცემული სახელმძღვანელოს დასახელება უნდა ემთხვეოდეს ამავე კურიკულუმების სასწავლო რესურსებში მითითებული სახელმძღვანელოების დასახელებას; **რჩევა:** სასურველია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმების სატიტულო ნაწილში მიეთითოს კურიკულუმის დამგეგმავი და განმახორციელებელი პირი/მასწავლებელი, დაკონკრეტდეს საათობრივი დატვირთვა თემების მიხედვით. **რჩევა:** სამივე საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივ - ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია - კურიკულუმში (კლასების მიხედვით) დაფიქსირდეს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	ლესიჭინეს თემის საჯარო სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერების მიერ სასწავლო პროცესისას გამოყენებული რესურსები (სახელმძღვანელოები, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, თემატური რუკები, ატლასები, კონტურული რუკები, სხვადასხვა ინტერნეტ პორტალზე განთავსებული ინფორმაციები, დოკუმენტური და ისტორიული ჟანრის მხატვრული ფილმები და სხვა, ისეა წარმოდგენილი, რომ ისინი მკაფიოდ შეესაბამება კურიკულუმით გათვალისწინებულ თემასა და საკითხებს. მათი შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის/მოსწავლეების ასაკობრივი, გონებრივ-ინტელექტუალური შესაძლებლობები და საჭიროებები და რაც მთავარია ისინი სრულად უზრუნველყოფენ კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების საბოლოო შედეგის დადგომას. რესურსების გამოყენებისას მოსწავლეებს აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული ინსტრუქციები და რეკომენდაციები და უზრუნველყოფილია მოსწავლეთა წვდომა ყველა მოსწავლისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი მეტნაკლებად უზრუნველყოფილია შესაბამისი საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსით. **რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურზე მეტი დამატებითი რესურსის, კერძოდ საგანმანათლებლო აპლიკაციების, გვერდების, აუდიო და ვიდეომასალის მოქმედი ბმულების კურიკულუმების რესურსების გრაფაში მითითება. ასევე კარგი იქნება კონტექსტ-მაგალითების მითითება ყველა თემისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ესთეტიკური აღზრდის საგნების (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერების სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც

	ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვება, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **რჩევა:** სასურველია, რიგ კლასებში კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსების. ასევე,მნიშვნელოვანია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით დასახული მიზნების რეალიზებას. ინტერნეტ-წყაროებთან ერთად, აკადემიური და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენება პედაგოგს საშუალებას მისცემს, ეფექტურად მოახდინოს სწავლების დიფერენცირება მოსწავლეთა პროფესიული ინტერესების მიხედვით. **რჩევა:** სასურველია რესურსების მრავალფეროვნებაზე აქცენტის გაკეთება უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური სტანდარტის გარემოს, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლებისთვის მომზადების ეტაპზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, დავალებების ნიმუშები, სასარგებლო ბმულები, სხვადასხვა ონლაინ პროგრამა, (code.org, Scratch, tinkercad.com) რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში ინტეგრირებული სასწავლო რესურსები მრავალფეროვანია და შერჩეულია ფუნქციური დანიშნულებით. წარმოდგენილი მასალები შინაარსობრივად შეესაბამება დასახულ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ ეფექტურ მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივი - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმები ითვალისწინებს შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელებას თემების შესაბამისად, გარდა ბუნებისმეტყველების მე-5 კლასის კურიკულუმისა; შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმართვას დიფერენცირებულ-ინკლუზიური მიდგომით. ასევე, როგორც ინტერვიუდან ირკვევა, მასწავლებლები შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ლესიჭინეს თემის საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაში შემავალი საგნის//საგნების სწავლება ყველა საფეხურზე ხორციელდება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომებით. სწავლისადმი ამგვარი დამოკიდებულება და მიდგომები აღიალებულია და ადმინსტრირებულია სკოლაში მოქმედი დოკუმენტებით. კერძოდ კი, სწავლისადმი ასეთი მიდგომები დეტალურადაა გაწერილი და ასახულია სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში და საგნობრივ კურიკულუმებში. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ მაწავლებლები ითვალისწინებენ არა მარტო სსსმ. მოსწავლეების, არამედ ტიპური განვითარების მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, შემოქმედებით უნარებსა და ინტერესებს. კომპლექსური და არა მარტო კომპლექსური დავალებების დამუშავების საფუძველზე შესაქმნელი პროდუქტის სხვადასხვა სახეს მოსწავლეების სთავაზობენ მასწავლებელები, იქნება ეს ციფრული საპრეზენტაციო მასალა, ბუკლეტი, მაკეტი, ესე, რეფერატი, პოსტერი, კარტოგრაფიული ნამუშევარი და სხვა. ეს ყოველივე კი ნათლადა და მკაფიოდ იძლევა მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების უკეთ წარმოჩენასა და რეალიზების შესაძლებლობას. საგნის // საგნების სწავლებისას გამოყენებული სასწავლო რესურსები მრავალგვარი და მრავალფეროვანია. მათი მრავალგარობა და მრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებებებსა და შესაძლებლობებზეა მორგებული. ეს კი, სასწავლო პროცესის დიფერენცირებისა და მასში ყველა მოსწავლის ჩართვის შესაძლებლობას ითვალისწინებს ცალსახად. მასწავლებლები საკუთარი პრაქტიკული და სკოლაში მოქმედი სასწავლო პროცესის მაორგანიზებელი მექანიზმების საშუალებთ ფლობენ სსსმ. მოსწავლეებთან მუშაობისათვის საჭირო ფორმალურ და არაფორმალურ მხარეებს. (ოფიციალური საწასვლო დოკუმეტაციის წარმოება, სასწავლო მეთოდები და

	სტრატეგიები). აღნიშნული კუთხით მასწავლებელებს შესაძლებლობაც და მზაობაც აქვთ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	როგორც პირადი გასუბრებისას გამოიკვეთა, მასწავლებლების სასწავლო პროცესში იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომებს მოსწავლეებთან. **რჩევა:** სასურველია, დიფერენცირებული მიდგომები ჩანდეს სამივე საფეხურის კურიკულუმებშიც, მაგალითად, მოსწავლეებს მიეცეს არჩევანის საშუალება, თავისი სურვილისამებრ წარმოადგინონ შემოქმედებითი პროდუქტი, მაგალითად, პაუერ პოინტის პრეზენტაციის, ვიდეორგოლის ან პლაკატის სახით, რათა შეძლოთ თავიანთი უნარების მაქსიმნალურად გამოყენება და წარმოჩენა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში იკვეთება, რომ შემუშავებული ინდივიდუალური სამუშაო გეგმები ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებაზე. აღნიშნული გეგმები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მიზანმიმართულად დაგეგმვას და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის მხარდაჭერას. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. ეს გამოიხატება სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზებაში, მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვაში და სწავლების მეთოდების ადაპტირებაში მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი ტემპითა და შესაძლებლობების ფარგლებში მიაღწიოს სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. დოკუმენტებში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა

	იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას. **რჩევა:** შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების აღსაწერად. შემოქმედებითი დავალებები ორიენტირებულია ინკლუზიურობაზე, რაც აკადემიური მიზნების მიღწევის გარანტიაა. **რჩევა:** კათედრაზე განხილულ იქნას მოსწავლეთა მიღწევების ანგარიშები, რათა რესურსების შერჩევა მოხდეს კონკრეტული აკადემიური საჭიროებების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. გათალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	საგანმანათლებლო პროგრამა განისაზღვრება სკოლის პრიორიტეტებისა და ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის მიხედვით. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. ინტერვიურების დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ იყენებს დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმი ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებს; სასწავლო პროცესი და დავალებები ადაპტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების, საჭიროებებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები საგნების მიხედვით. **რჩევა:** განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან, ასევე, **ქვეცნებებთან** მიმართებით კონკრეტული საკითხების შესაბამისად, მეტად გამოჩნდეს ბმა საკითხსა და სამიზნე ცნებას/ქვეცნებას შორის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოქმდი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად ლესიჭინეს თემის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის (III – IV კლ.) მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი შეფასებებით, ხოლო V - XII კლასი მოსწავლეების შეფასება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით. აღნიშნული შეფასების ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების დაუფლების გზაზე მოსწავლეთა ცოდნის პერიოდულ მონიტორინგსა და დიაგნოსტირებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შეფასების პროცესი კი სრულდება განმსაზღვრელი ან და განმავითარებელი შეფასებით. შეფასების ამგვარ მექანიზმს ცნობს სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი ჭრილით თემატიკის შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასებები მკაფიოდაა გაწერილი შეფასების რუბრიკებში. ხოლო განმსაზღვრელი შეფასებების მრავალგვარობა და დეტალიზება განხორციელებულია შემაჯამებელი სამუშაოს ფორმებში. განმავითა-რებელი შეფასების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა და რეკომენდაციებისა და კუნსულტაციის გაწევა მოსწავლეებზე ასათვისებელი ან და, გასაუმჯობესებელი ცოდნისა და უნარების დაუფლების გზაზე. შეფასება მოიცავს მოსწავლეთა სწავლა - სწავლების სტატისტიკური მონაცემების შექმნას და ასევე სწავლის დინამიკის აღწერას. კერძოდ: ... თუ სად იყო მოსწავლე ამა თუ იმ საკითხის დამუშავებისას და სად მივიდა, რა შედეგს მიაღწია სწავლა - სწავლების პროცესში. რა კონკრეტული მეთოდები, რესურსები და ინსტრუმენტები იქნება საჭირო მიზნამდე მისასვლელად.

უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ძირითადად შეესაბამება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და საშუალებას იძლევა, ობიექტურად შეფასდეს მოსწავლეთა შედეგები. **რჩევა:** სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იყოს უფრო კონკრეტული და იძლეოდეს გრადაციის საშუალებას: წარმატებული/კარგი/საშუალო/საჭიროებს განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს პედაგოგს, უკეთ განსაზღვროს მოსწავლის საჭიროებები, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე. ასევე სასურველია, შემუშავდეს შეფასების რუბრიკების სახელმძღვანელოს თითოეული თემისთვის, სადაც გაწერილი იქნება ის ცოდნა და უნარები, რაც უნდა შეიძინოს მოსწავლემ თითოეული თემის დასრულების შემდეგ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) ჯგუფში შემავალ საგნებში შემუშავებულია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან. აღნიშნული რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სტრუქტურირებას, კრიტერიუმების გამჭვირვალობასა და მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურ ანალიზს. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღწერილია ზოგადი შეფასების რუბრიკები, როგორიცაა დისკუსიის, პრეზენტაციის, პროექტული მუშაობისა და სხვა აქტივობების შეფასების ინსტრუმენტები. აღნიშნული რუბრიკები პედაგოგების მიერ სისტემატურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც დადასტურდა მათთან ჩატარებული ინტერვიუების დროსაც. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკების გამოყენება მათ ეხმარებათ მოსწავლეთა პროგრესის უფრო ზუსტად განსაზღვრასა და ეფექტიანი უკუკავშირის მიწოდებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ რუბრიკების შემუშავების პროცესში პედაგოგები ხელმძღვანელობენ ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შედეგების ინდიკატორებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ.:ესეს

	შეფასების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის და სხვა). შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე სკოლამ წარმოადგინა შერჩეული შემოქმედებითი დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშები შესაბამისაბაშია ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	შეფასების მექანიზმი თანხვედრაშია ეროვნულ სტანდარტებთან და უზრუნველყოფს აკადემიური მიღწევების ობიექტურ ასახვას, რაც კრიტიკულია უმაღლესი განათლებისთვის მომზადების ეტაპზე. **რჩევა:** მიზანშეწონილია შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა, რათა ისინი მაქსიმალურად ფოკუსირდეს მოსწავლის პერსონალურ პროგრესსა და ანალიტიკურ განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება მოძრაობაში. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებისას, რუბრიკები პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა, წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად ზოგადი კრიტერიუმებია. კათედრას მიეცა რეკომენდაცია, შეფასების რუბრიკების შემუშავებისას დაეყრდნონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებსა და კონკრეტული დავალების სპეციფიკას. მნიშვნელოვანია, შეფასების კრიტერიუმები იყოს პერსონალიზებული, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი და პირდაპირ მიემართებოდეს გრძელვადიან

	მიზნებს. არსებულ შეფასების სქემებში მკაფიოდ უნდა აისახოს კავშირი კონკრეტულ თემასა და საგნობრივ სტანდარტს შორის, რათა ვალიდურად გაიზომოს მოსწავლის მიღწევის დონე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ოქმი, ბრძანება;
- მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო კლუბების დოკუმენტაცია;
- ისგ გეგმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- დიაგნოსტიკური ტესტები;
- გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა;
- შემაჯამებელი სამუშაოების ფორმები / შაბლონები;
- შემაჯამებელი სამუშაოები და შედეგების ანალიზი;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ნიმუშები;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად; სამივე საფეხურის საგნობრივი - ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) - კურიკულუმების აგებულება წარმოაჩენს მოძრაობას ერთი სავალდებულო თემიდან მეორემდე, თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების თანმიმდევრობა ასევე წარმოაჩენს ახალი ცოდნის წინარე ცოდნის (წინა თემის, წინა ძირითადი საკითხის) განხილვაზე დაფუძნებულ მიდგომას. კურიკულუმის განხორციელება ითვალისწინებს მოსწავლეების შემოქმედებით დავალებაზე /შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობას, სასწავლო პროცესის ფარგლებში მოსწავლეები ქმნიან განსხვავებულ შემოქმედებით პროდუქტებს - PP პრეზენტაციებს, მოხსენებებს, მოდელებს, პოსტერებს, ნახატების ალბომებს, და ა.შ., ხდება შესრულებული დავალების განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასება რუბრიკებით და შეფასების ანალიზი; არსებობს კათედრაზე მასწავლებლების მიერ აზრთა ურთიერთგაზიარება, ურთიერთდასწრების პრაქტიკა. სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ წინა წლის კურიკულუმების განხორციელების ანალიზის და რეფლექსიის საფუძველზე იგეგმება განახლებული

	კურიკულუმები და შესაბამისად სასწავლო პროცესი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობით პროცესს და საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას, რაც ხელს უწყობს შესწავლილი საკითხების გამოყენების არეალის ზრდას. **რჩევა:** სასურველია, საკლუბო და საგნებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) საწრეო მუშაობის გააქტიურება. წრეების მუშაობა სასურველია წარიმართოს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების, ასევე, გლობალური ფუნქციური უნარების ფორმირების მიზნით; სახალისო ცდებთან ერთად უფრო მეტად დაიგეგმოს სასწავლო - კვლევითი პროექტები (მაგალითისათვის, ლესიჭინეს თემის ტერიტორიაზე არსებული წყლების ფიზიკურ-ქიმიურ-ბიოლოგიური კვლევა, ნიადაგის თვისებების კვლევა და სხვ.). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ლესიჭინეს თემის საჯარო სკოლის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის თითოეულ კლასში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის სწავლება ხორციელდება წინასწარ შედგენილი კურიკულუმების საფუძველზე. დავალებების თემატიკა, შემოქმე-დებითი - კომპლექსური დავალებები და შემაჯამებელი სამუშაოების თემატურადაა განაწილებული, წინასწარ დაგეგმილი, თანამშრომლობითი ურთიერთობის საფუძველზე შედგენილი კურიკულუმების შესაბამისა. შემუშავებული კურიკულუმი ნათლად ავლენს იმ გარემოებას, რომ საგნის კურიკულუმები ნათლადაა ორიენტირებული სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ნათელი დადასტურებაა იმასა, რომ ისინი მოსწავლის საჭიროებებზე არის ორიენტირებული. აღნიშნული საგნის კურიუკულუმის მიზნობრიობა და ორიენტირება არის სრულ შესაბამისობაში საზოგადოებრივი კათედრის ჭრილის საგნების ორიენტირებთან და საგნობრივ სტანდარტებსა და ინდიკატორებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესი დაგეგმილია და წარიმართება კურიკულუმების მიხედვით. კურიკულუმებში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები და მისაღწევი შედეგები, სამიზნე ცნებები, თითოეული თემის ფარგლებში გასავლელი საკითხები, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის უკეთ წარმართვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, საკითხთა კლასტერები, შუალედური

	მიზნები და რესურსები. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში განსაზღვრულ ძირითად საკითხებთან მიმართებით ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება და გარკვეული სამიზნე ცნებების კომპლექსური დავალებებით დამუშავება რაც მიუთითებს სკოლის მზაობაზე სასწავლო პროცესში უზრუნველყოს სამიზნე ცნებები და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითებზე დაყრდნობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, თვითშეფასების ანაგრიშიდან და სკოლის მიერ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, შემოქმედებითი დავალებების, რესურსებისა და აქტივობების შერჩევა. კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი ბუნების დავალებები, ინტეგრირებული თემები პრაქტიკაში ხორციელდება, რაც დასტურდება გაკვეთილის გეგმებით, შეფასების რუბრიკებით და მასწავლებელთა რეფლექსიით. როგორც პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, ისინი მიჰყვებიან საგნობრივ კურიკულუმებს და ასევე ასახავენ ცვლილებებს, რომლებიც იკვეთება მუშაობის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ვალიდურია და ეფუძნება კურიკულუმით განსაზღვრულ დონის შემოქმედებით აქტივობებს. დაგეგმვა ორიენტირებულია მოსწავლეთა ანალიტიკური და აკადემიური შედეგების მაქსიმალურ გამოვლენაზე. **რჩევა:** პროცესის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია კათედრის წევრთა მჭიდრო კოლეგიური თანამშრომლობა და საერთო სტრატეგიული მიდგომების შემუშავება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს

	ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებელთან გასაუბრება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ დაგეგმვა ითვალისწინებს სასწავლო წლის სტრუქტურას, თემატურ ერთეულებსა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. აქტივობები მიზანმიმართულია კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე და თანხვედრაშია სკოლის საერთო საგანმანათლებლო ხედვასთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლის დირექციასთან გასაუბრებება ცხადყოფს, რომ სასკოლო კურიკულუმი განვითარებაზე ორიენტირებულ, დინამიკურ დოკუმენტს წარმოადგენს. სასწავლო პროცესის კურიკულუმის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა უზრუნველყოფს სწავლების მიზანმიმართულ და თანმიმდევრულ განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების დაცვით.

კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოვლენილი საჭიროებების საპასუხოდ, სკოლაში მოქმედებს კორექტირების ქმედითი მექანიზმი: საგნის მასწავლებლები, შესაბამის კათედრასა და დირექციასთან კოორდინაციით, ახორციელებენ აუცილებელ ცვლილებებს საგნობრივ კურიკულუმებში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს დაწესებულების მოქნილ რეაგირებას მიმდინარე გამოწვევებზე და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მუდმივ სრულყოფას.

პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის კომპლექსური შესწავლის, კერძოდ, საგნობრივი კურიკულუმების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და რემედიაციის პროცესების ამსახველი მასალების ანალიზის, საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას გააჩნია შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსები სასწავლო პროცესში წამოჭრილი დაუგეგმავი გამოწვევების წარმატებით სამართავად.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. შეფასება მხოლოდ შედეგის დაფიქსირებას არ გულისხმობს და იგი განიხილება როგორც უწყვეტი, მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული პროცესი. **რჩევა:** სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას საგნობრივ (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) სტანდარტში მითითებულ ინდიკატორებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებთან მიმართებაში; შერჩეულ იქნას სამიზნე ცნების განსახილველი მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დაკონკრეტდეს დავალების პირობის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი საგნობრივი გაერთიანების თითოეული საგნობრივი ჭრილის სწავლებისას დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შეფასებებს. მასწავლებელები აქტიურად იყენებენ შეფასების მრავალდგვარ მეთოდსა და საშუალებას, რომელიც თავისთავად ასახვას ჰპოვებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებში. ... და რაც მთავარია შეფასების რუბრიკებით ნათლად ჩანს, ის ფაქტი რომ შეფასებას მოსწავლეთა წარმატებისა და აღიარებისათვის იყენებენ. შეფასების ყველა სისტემა არის ვალიდური. სამართლიანი, ობიექტური, გამჭვირვალე და სანდო. მასწავლებელთა მიერ გამოყენებული სხვადასხვა სახის სისტების შეფასების რუბრიკები, მკაფიოა და დამატებით კითხვებსა და განმარტებებს არ საჭიროებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ძირითადად შეესაბამება ესგ-ს მიერ განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებსა და სამიზნე ცნებებს, შემუშავებულია გასავლელი თემების შესაბამისად, ასევე ნაცნობია მოსწავლეებისთვის, ეს ყველაფერი უზრუნველყოფს მის ვალიდურობას, გამჭვირვალობას და ობიქტურობას. **რჩევა:** სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იყოს უფრო კონკრეტული და იძლეოდეს გრადაციის საშუალებას: წარმატებული/კარგი/საშუალო/საჭიროებს

	განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს პედაგოგს, უკეთ განსაზღვროს მოსწავლის საჭიროებები. ასევე სასურველია, შემუშავდეს შეფასების რუბრიკების სახელმძღვანელოს თითოეული თემისთვის, სადაც გაწერილი იქნება ის ცოდნა და უნარები, რასაც უნდა მიაღწიოს მოსწავლემ თითოეული თემის დასრულების შემდეგ. ასევე სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების კონკრეტულ პროდუქტებზე მორგება, კერძოდ, ესსეს, ბლოგის, პრეზენტაციის, პლაკატის და ა.შ. მოცემულ თემებზე მორგებული შეფასების რუბრიკების შექმნა, რაც გაუადვილებს მასწავლებელს თითოეული მოსწავლის ობიექტურად შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კათერის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ესთეტიკური აღზრდის საგნებში (სახვითი და გამოყენებითი ხელონება, მუსიკა) იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ინსტრუმენტი არის ვალიდური-ფასდება ის, რისი შეფასებაც არის დაგეგმილი, შეფასების სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს, თვალსაჩინოდ აკრავენ რუბრიკებს საკლასო ოთახში, რათა მოსწავლეს ჰქონდეს საშუალება რუბრიკაზე დაყრდნობით მოამზადოს დავალება. მოსწავლე ფასდება არა მხოლოდ სწავლების შედეგი, არამედ სწავლის პროცესიც. ამიტომ მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების სისტემა აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად სამივე საფეხურზე შერჩეულია შეფასების პირველი მოდელი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მრავალკომპონენტიან შეფასებას. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქიდან გამომდინარე დგინდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე. სასწავლო პროცესში სკოლა ზრუნავს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	მოწოდებული შეფასების სისტემა სანდო და მიზანმიმართულია. რუბრიკებში მოცემული ინდიკატორები პირდაპირ კავშირშია აკადემიურ შედეგებთან და უზრუნველყოფს ობიექტურ მიდგომას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურის კათედრები გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სამივე საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების სისტემა ორიენტირებულია გამჭვირვალობასა და ობიექტურობაზე. შეფასების პროცესი ეფუძნება სხვადასხვა ეტაპზე სასწავლო აქტივობებზე დაკვირვებას, რაც ხელს უწყობს პროცესის სანდოობას. სისტემა მიმართულია გრძელვადიან მიზნებსა და სამიზნე ცნებებზე, თუმცა ვალიდურობის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა კრიტერიუმების კონკრეტულ დავალებებთან უკეთ თავსებადობაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

საგანმანათლებლო დაწესებულებაში, 2025 წლის 2 სექტემბრის ბრძანებით N2-47, დამტკიცებულია „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი“, რომელიც სრულყოფილად არეგულირებს ვერიფიკაციის პროცედურებს. ვერიფიკაცია წარმოადგენს სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს და სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმი კომპლექსურად მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების ვალიდაციას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დეტალურად არის გაწერილი ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, რაც ფუნდამენტურ საფუძველს უქმნის სკოლაში შეფასების პროცესის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. ვერიფიკაციის მექანიზმები ითვალისწინებს, როგორც განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასების სხვადასხვა ფორმის კონტროლს, ასევე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტებისა და კრიტერიუმების შესაბამისობის დადგენას. პროცესის ობიექტურობის

უზრუნველსაყოფად, მოსწავლეთა ნამუშევრების საფუძველზე, ყოველწლიურად ხორციელდება სისტემური მონიტორინგი.

სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი მეთოდოლოგიურად გამართულია და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების შედეგებზე დაყრდნობით, დასტურდება დაწესებულების სრული მზადყოფნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლის დირექციასთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება იცავს დოკუმენტბრუნვის წარმოებისა და საარქივო საქმის შენახვის მარეგულირებელ კანონმდებლობას, რაც მოიცავს, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ ფორმატებს. კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით, სკოლის არქივში სათანადოდ არის აღრიცხული და დაცული შეფასების პროცესთან დაკავშირებული ყველა მონაცემი. აღნიშნული დოკუმენტაცია სისტემურად ინახება და მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ შემაჯამებელ დავალებებს, სასწავლო პროცესში გამოყენებულ მასალებს, აქტივობებსა და შეფასების რუბრიკებს.

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების ვალიდურ აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთან, ელექტრონული ჟურნალის ფუნქციონირება უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური შედეგების საიმედო და გრძელვადიან არქივირებას.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალების საფუძველზე ნაწარმოები დიაგნოსტირება;

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; ბრძანება N01-03/38
- სადიაგნოსტიკო ტესტები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები და მათი შეფასების მაგალითები;
- კომპლექსური დავალებებები შუალედური სასწავლო მიზანი,შემოქმედებითი პროდუქტის ანალიზები,რეფლექსიები;
- კურიკულუმის შემუშავების, განვითარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სასკოლო კურიკულუმის შეთანხმების შესახებ;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- კომპლექსური დავალების პირობები და ბარათები;
- შემაჯამებელი სამუშაობიეს ფორმები / შაბლონები;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ძირითადი და დამხმარე რესურსებით. რესურსები მოიცავს: ძირითადი რესურსის სახით გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს, ძირითად სახელმძღვანელოსთან ერთად იყენებენ დამატებით სახელმძღვანელოებს; დამხმარე რესურსების სახით - მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს: ტელესკოლის გაკვეთილებს, CK-12 საგანმანათლებლო პლატფორმას, ვირტუალურ ლაბორატორიებს, სხვა ინტერნეტ-რესურსებს. მატერიალური და ელექტრონული რესურსები ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხელმისაწვდომია კომპიუტერები/ლეპტოპები, პროექტორი, უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა. რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. მასწავლებლებმა ინტერვიუს მსველელობისას აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში ატარებენ რეალურ ცდებს/ექსპერიმენტებს, რაც ნაწილობრივ ასახულია კურიკულუმებშიც შემოქმედებითი დავალების იდეის სახით. მაგალითად: ბუნებისმეტყველება, IV კლასი - "ცდების ჩატარება სხეულების ძალისა და მოძრაობის დასადგენად, მონაცემების აღრიცხვა", ქიმია, VIII კლასი - „როგორ დავადგინოთ ყოველდღიურად გამოყენებული ხსნარების PH? -

	დავამზადოთ ინდიკატორი წითელი კომბოსტოსგან და მისი საშუალებით დავადგინოთ იმ ხსნარების PH რომლებიც ყოველდღიურად გვხვდება. - ჩავატაროთ ექსპერიმენტი ამ თემაზე და შევავსოთ ცდის ოქმი“, ფიზიკა, VII კლასი - დიფუზიის მოვლენაზე დაკვირვება, და სხვ. თუმცა, ***ცდების ჩატარებისთვის საჭირო რეაქტივები/მასალები და მოწყობილობები არ არის ასახული კურიკულუმის “რესურსებში”.*** შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ცდების ჩატარებას არ აქვს სისტემური და სისტემატური ხასიათი. ამასთან აღსანიშნავია, რომ სკოლაში არსებობს ცდების ჩატარებისათვის ხელსაყრელი ინფრასტრუქტურა - სკოლაში არის ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის ინტეგრირებული კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია დენით, წყლით, არის კარადები/სათავსოები; კარადებში და ღია თაროებზე მოთავსებულია ფიზიკის მოწყობილობები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად), ბიოლოგიის ისეთი რესურსები, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ქიმიის ლაბორატორიული ჭურჭელი და მოწყობილობები; კაბინეტში მოქმედებს სავენტილაციო-გამწოვი სისტემა და თვითნაკეთი გამწოვი მოწყობილობა, რომელიც ლოკალურად მუშაობს - უზრუნველყოფს აირადი ნივთიერებების გაწოვას უშუალოდ ცდის განხორციელების ზონიდან, რაც ხელს უწყობს ქიმიური ცდების უსაფრთხო ჩატარებას. დამონტაჟებულია სადემონსტრაციო მაგიდა, სპეციალური ცეცხლგამძლე და ქიმიკატებისადმი მდგრადი დაფარვით. **რჩევა:** სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში საგნების (ბუნების-მეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით აისახოს რეალური ექსპერიმენტების/ცდების რესურსები (ცდის/ლაბ. სამუშაოს დასახელება, მასალები/ რეაქტივები, მოწყობილობები), რაც სასწავლო პროცესში ცდების ჩატარებას სისტემურ და სისტემატურ ხასიათს მისცემს; **რჩევა:** სასურველია, საბუნებისმეტყელო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავდეს ელექტრონული რესურსების - ტელესკოლის გაკვეთილის, ვიდეოექსპერიმენტის და სხვ. “დაკვირვების სამუშაო ფურცელი/ინსტრუქცია”, აღნიშნული სასწავლო რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიზნით. **რჩევა:** სასურველია, შესაძლებლობის ფარგლებში ქიმიის კაბინეტის ცალკე გამოყოფა, მისი უზრუნველყოფა დენით, წყლით (ნიჟარები), გამწოვი კარადით, კაბინეტის აღჭურვა ლაბორატორიული მოწყობილობებით, შესაბამისი მასალითა და რეაქტივებით, ქიმიური ნივთიერებების შენახვა წესების დაცვით; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	ლესიჭინეს თემის საჯარო სკოლის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის თითოეულ კლასში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის სწავლება ხორციელდება წინასწარ შედგენილი კურიკულუმების საფუძველზე. დავალებების თემატიკა, კომპლექსური დავალებები და შემაჯამებელი სამუშაოების თემატურადაა განაწილებული და ყველა მათგანი ითვალისწინებს ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. რესურსების ხელმისაწვდომობა კი უზრუნველყოფილია მათი სასწავლო პროცესში გამოყენებით. რესურსებზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სკოლისა და მასწავლებელების მხრიდან. ყველა სახის რესურსი ორიენტირებულია თემატიკა და მათი გამოყენებით ხორციელდება სასწავლო პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე ინგლისური და რუსული სწავლებისთვის შერჩეულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. დამხმარე რესურსად მასწავლებლები იყენებენ ინტერნეტ ბმულებს, სასწავლო აპლიკაციებს, აუდიო და ვიდეო მასალებს, პრეზენტაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საგანმანათლებ-ლო რესურსები (გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ელექტრონული ლინკები) გასაუბრების შედეგად აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები და მოსწავლეები იყენებენ სხვადასხვა მატერიალურ თუ ელექტრონულ რესურსებს, რომელიც ემსახურება სწავლისა და სწავლების ხარისხის პოზიტიურ მიღწევებს, წარმოდგენილი დამატებითი რესურსები ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	მათემატიკის სწავლების დროს გამოიყენება ძირითად შემთხვევაში ინტერნეტ რესურსები როგორიც არის ხანის აკადემია, ტელესკოლა. სასურველი იქნება რესურზების მრავალფეროვნება იქნას ასახული კურიკულუმში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ახალი კურიკულუმის შექმნამდე კათედრამ შეაფასოს წინა წლის შედეგები და მათი გათვალისწინებით შექმნან ახალი კურიკულუმი. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, იკრიბებიან ყოველი სემესტრის ბოლოს და განიხილავენ მოსწავლეთა შედეგებს, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში ამ შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. სკოლა აღჭურვილია ახალი და თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტით, სადაც ასევე გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	როგორც კურიკულუმების ანალიზით, ისე ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება მრავალფეროვანი (მატერიალური და ციფრული) რესურსები. აღნიშნული უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას და ხელს უწყობს სასწავლო საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი ძირითად რესურსთან ერთად უზრუნველყოფილია დამხმარე რესურსებით, რაც ფიქსირდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ (ბუნების-მეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებში; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სამოქმედო გეგმა (ოქმი №1) ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვას და დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ლეჭიჭინეს საჯარო სკოლის საზოგადოებრივი საგნობრივი ჭრილის ოთხივე მასწავლებელების მიერ ხორციელდება საგნობრივი სასწავლო რესურსების წინასწარი შერჩევა, ეს პროცედურა კი ხორციელდება სკოლაში არსებული პროცედურების სრული დაცვით. მათი შერჩევისას უპირატესი ყურადღება ექცევა შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივ მიზნებსა და სტანდარტებს. კათედრაზე არსებობს მძლავრი ურთიერთთანამშრომლობისა და კონსულტირების ტრადიცია, სადაც ხდება თემატიკის შესაბამისი რესურსების შერჩევა, არგუმენტირებული განხილვა - გაანალიზების საფუძველზე. რესურსების ნაირგვარობა და შინაარსის შერჩევა ხდება მოსწავლეთა ასაკობრივი გონებრივ - ინტელექტუალური და საჭიროებების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე რესურსები ვალიდურია, რაც ჩანს სამივე საფეხურის კურიკულუმებში. რესურსების ცხრილში წარმოდგენილი ყველა ვიდეო და აუდიო მასალა არის მოქმეგ ბმულებზე და შეესაბამება მოცემული თავების თემატიკას. მასალებში გათვალისინებულია ენის ფლობის დონე მოცემულ საფეხურზე და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე ინტერესები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ასევე გასაუბრების დროს წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა სასწავლო წლის დასაწისში ირჩევს ძირითად თუ დამხმარე რესურსებს, არსებული რესურსები საჯაროა და ხელმისაწვდომია მასწავ-ლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალისთვის. რესურსები გამოიყენება შესაბამის სასწავლო და არაფორმალურ გარემოში მიზნობრივად, სკოლა უზრუნველყოფს რესურსების შევსებას, განახლებას და ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსების მიმოხილვა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტია. სკოლამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი დამხმარე რესურსების შესარჩევად, და შესაფასებლად, რათა უზრუნველყოს, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ მოსწავლეებისა და საგნობრივი სასწავლო გეგმის საჭიროებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოვლინდა, ამ საკითხების განხილვა პერმანენტულად ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები, რაც სრულად შეესაბამება მათემატიკის აკადემიურ მიზნებს. რესურსების ერთობლიობა ეხმარება მოსწავლეებს რთული ცნებების დაუფლებასა და შედეგების მიღწევაში. თუმცა სასურველი იქნება დამხმარე რესურსები სჩანდეს სკოლის კურიკულუმში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სამივე საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში გამოყენებული სასწავლო რესურსები ეფუძნება განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს. რესურსების შერჩევის პროცესი მიმდინარეობს გააზრებულად, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით. ძირითად რესურსთან ერთად, აქტიურად გამოიყენება დამხმარე ციფრული და თვალსაჩინო მასალები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული მატერიალური რესურსით (ფიზიკური ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსები), მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლის პირველ კორპუსში არის ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის ინტეგრირებული კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია დენით, წყლით, არის კარადები/სათავსოები; კარადებში და ღია თაროებზე მოთავსებულია ფიზიკის მოწყობილობები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტროობის შესასწავლად), ბიოლოგიის ისეთი რესურსები, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ქიმიის ლაბორატორიული ჭურჭელი და მოწყობილობები; კაბინეტში მოქმედებს სავენტილაციო-გამწოვი სისტემა და თვითნაკეთი გამწოვი მოწყობილობა, რომელიც ლოკალურად მუშაობს - უზრუნველყოფს აირადი ნივთიერებების გაწოვას უშუალოდ ცდის განხორციელების ზონიდან, რაც ხელს უწყობს ქიმიური ცდების უსაფრთხო ჩატარებას. დამონტაჟებულია სადემონსტრავიო მაგიდა, სპეციალური ცეცხლგამძლე და ქიმიკატებისადმი მდგრადი დაფარვით. **სკოლის მეორე კორპუსში არ იყო საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია.** ძირითადი და დამხმარე რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ეფექტურობას, მოტივაციის ამაღლებას და სწავლის შედეგების მიღწევას. გასათვალისწინებელია შემდეგი რჩევები: **რჩევა:** სასურველია, ფიზიკის მოწყობილობების შევსება სავალდებულო თემების/საკითხების შესაბამისად და შენახვის ადგილებზე სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.);

	რჩევა: სასურველია, ბიოლოგიის ისეთი რესურსების, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, შევსება და შენახვის ადგილებზე სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით შესაბამისი წარწერების გაკეთება; **სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.3 ინდიკატორის მიმართ, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია: სკოლის მეორე შენობაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა - 13.06.2026წ.-01.02.2027წ..** **შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი საგნობრივი ჭრილის სწავლებისას მასწავლებელები უზრუნველყოფენ მოსწავლეების ხელმისაწვდომობას მატერიალურ რესურსებზე. საკლასო, შემაჯამებელი და სხვა ტიპის დავალებების რაოდენობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სკოლის მასწავლებელების მხრიდან. სკოლის მატერიალურ ტექნიკური ბაზის არსებობა (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, თემატური რუკები, საკლასო წერისა და შემაჯამებელი სამუშაოს ფურცლები, კომპიუტერული სისტემები, დაფა, ვიზუალური თვალსაჩინოებითი მასალები) და მასწავლებელთა მზაობა (საგნობრივი კომპეტენცია, მოტივაცია და უნარები) იძლევა ყველა მოსწავლის დაკმაყოფილებისა და ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა იყენებს კომპიუტერს, პროექტორს, ინტერნეტს, პლაკატებს, აუდიო და ვიდეოჩანაწერებს, რათა სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო და მამოტივირებელი გახდეს მოსწავლეთათვის. რესურსი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ვლინდება რომ სკოლას აქვს შესაბამისი რესურსები, გასაუბრების პროცესში აღინიშნა, რომ მასწავლებლები ინტენსიურად იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ინტერნეტ რესურსებს, იყენებენ საკუთარ და მოსწავლეების შემოქმედებით უნარებს და ქმნიან რესურსებს, რომლებიც მოსწავლეთა ასაკისა და საგნობრივი მასალის შესაბამისად არის შედგენილი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და

	მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. ინტერვიუდან ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. (პრეზენტაციისთვის, საკლუბო მუშაობისას). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა საშუალო საფეხურის სპეციფიკა მოითხოვს უფრო სპეციალიზებულ ინფრასტრუქტურას. ადგილების ზღვრული რაოდენობის დაცვა პოზიტიური ფაქტორია, რაც ქმნის პოტენციალს ინდივიდუალური პრაქტიკული სამუშაოების გასაძლიერებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სპორტის კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ის გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის პირველ კორპუსში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. მეორე კორპუსში არ ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, მაგრამ გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების სარგებლობენ ბუკებით და გაკვეთილები ტარდება სრულფასოვნად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასწავლო გარემოს დათვალიერების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლის მატერიალური ბაზა და ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. არსებული რესურსები უზრუნველყოფს კურიკუ-ლუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურ რეალიზებას უსაფრთხო და მოწესრიგებულ გარემოში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

   სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებულია 38 პედაგოგი, მათ შორის: 1 - მენტორი, 4 - წამყვანი, 29 - უფროსი, 2 - უფროსი სპეციალური მასწავლებელი და 2 - მასწავლებელი ირიცხება სტატუსის გარეშე. საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფილი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ ორ პოზიციაზე ვაკანსიები უკვე გამოცხადებულია პორტალზე Maswavlebeli.ge.

   როგორც ინტერვიუთი დადგინდა, კათედრის წევრი მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ კურიკულუმის შემუშავება-განხორციელებისას.

ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- 2025-2026 სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კომპლექსური დავალების პირობები და ბარათები;
- კომპიუტერული ლაბორატორიის აღწერა;
- განხორციელებული პროექტების ბმულები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტაციის საფუძველზე რეგულირდება სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესები. აღნიშნული პროცესი ეყრდნობა დაწესებულებაში არსებულ თანამშრომლობით კულტურას. კურიკულუმის მონიტორინგი მრავალდონიანი პროცესია, რომელშიც სკოლის დირექციასთან ერთად აქტიურად არის ჩართული ხარისხის მართვის ჯგუფი. საგნობრივი კათედრების დონეზე, სადაც პედაგოგები ახორციელებენ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვას, მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს მასწავლებელთა ურთიერთდასწრება. ურთიერთდასწრების ფარგლებში ხდება საგაკვეთილო აქტივობების კომპლექსური მონიტორინგი და შეფასება. აღნიშნული ფუნქციები ორიენტირებულია პედაგოგთა მხარდაჭერაზე, როგორც უშუალოდ სასწავლო პროცესზე დაკვირვების, ისე კურიკულუმით გათვალისწინებული მეთოდოლოგიის ეფექტური დანერგვის კუთხით.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, მათ შორის, კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი დავალებების ანალიზის საფუძველზე. შეგროვებული

მონაცემები ეხმარება პედაგოგებს დაგეგმილი სასწავლო პროცესის ეფექტურობის გააზრებაში. მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ერთობლივი განხილვის საფუძველზე, საგნის მასწავლებლები ადგენენ გასაუმჯობესებელ მიმართულებებს.

შეფასების პროცესის ფინალურ ეტაპს წარმოადგენს ყოველი სემესტრის ბოლოს პედაგოგიური საბჭოსთვის შემაჯამებელი ანგარიშების წარდგენა, რომლებსაც კლასის დამრიგებლები, კათედრის ხელმძღვანელები და საგნის მასწავლებლები ამზადებენ.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

„სკოლის „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის ოპტიმალური გზების განსაზღვრის ფუნდამენტურ მექანიზმს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების უწყვეტი, ციკლური პროცესი ეფუძნება წინა წლების მონაცემთა სისტემურ ანალიზს. ამ კონტექსტში, მონიტორინგის ფუნქციაა დაადგინოს მიმდინარე პროცესების შესაბამისობა დაგეგმილთან, ხოლო შეფასება ამოწმებს განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობას სასურველი შედეგების მიღწევაში.

დანერგვის პროცესზე უწყვეტი დაკვირვება და მონაცემთა შეგროვება ხორციელდება პედაგოგების მიერ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. მიღებული ინფორმაცია მუშავდება და ანალიზდება საგნობრივი კათედრების სხდომებზე, რის საფუძველზეც ხდება კონკრეტული გამოწვევების გადასაჭრელად ინოვაციების დანერგვის მიზანშეწონილობის განხილვა. პროცესის სრულყოფისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გამოვლენილი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და გათვალისწინებას.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია განსაზღვრავს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდაციების მომზადების წესს, რაც მიზნად ისახავს კურიკულუმის ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სისტემურ პროცესს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მონაცემთა შეგროვება, არსებული ვითარების ანალიზი, გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის ოპტიმალური გზების შემუშავება. საბოლოოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძვლიანი ანალიზის გათვალისწინებით, მუშავდება მიზანმიმართული რეკომენდაციები კურიკულუმის სრულყოფის მიზნით და ამ რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის განახლებული ვერსია.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის პედაგოგიურ პერსონალთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფუნქციონირებს შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. აღნიშნული სისტემის ძირითადი დანიშნულებაა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების დროული იდენტიფიცირება, რაც სამომავლო საგანმანათლებლო პროცესების ეფექტიანი დაგეგმვისა და მართვის ფუნდამენტურ საფუძველს უქმნის. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ფართო ჩართულობას ამ პროცესში, რაც განაპირობებს წარმატებული პრაქტიკის გაზიარებასა და გამოწვევების ოპტიმალური გადაჭრის გზების კოლეგიალურ ძიებას.

სხვადასხვა კათედრის წევრებთან გამართულმა გასაუბრებებმა და დოკუმენტურმა მასალებმა აჩვენა, რომ მონიტორინგი ხორციელდება რამდენიმე დონეზე, კერძოდ: საგაკვეთილო პროცესზე დირექციის მხრიდან დასწრება, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება, აგრეთვე რეგულარული თვითრეფლექსია და დამკვირვებლის რეფლექსია. მიღებული მონაცემები ანალიზდება ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად, ხოლო უკუკავშირი გაიცემა როგორც ზეპირი რეკომენდაციების, ისე ფორმალიზებული უკუკავშირის ფორმების სახით. ხორციელდება გაცემული რეკომენდაციების შესრულების სისტემური მონიტორინგიც.

მონიტორინგისა და შეფასების მთლიანი პროცესი არის გამჭვირვალე, ნდობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლაში დამკვიდრებული „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. პედაგოგები ერთმანეთს აქტიურად უზიარებენ დანერგილ გამოცდილებას, რაც ხელს უწყობს მათ უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და გამოხატავს კოლეგიალური მხარდაჭერის მაღალ კულტურას.

ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საკოლო-სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კათედრის ოქმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

   სკოლის პედაგოგიურ პერსონალსა და დირექციასთან გასაუბრებების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულებაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა ეფუძნება კომპლექსურ და ჰოლისტურ მიდგომას. სასწავლო პროცესში ინტეგრირებულად გამოიყენება, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტ მონიტორინგს.

   შეფასების სისტემა მოიცავს ანალიზს სამ ძირითად დონეზე: ინდივიდუალური დონე – ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და პროგრესის დინამიკის შესწავლაზე; კლასის დონე – გულისხმობს კონკრეტული საგნის სწავლების ეფექტიანობის შეფასებას და სასკოლო დონე – უზრუნველყოფს მთლიანი სასწავლო პროცესის შესაბამისობის დადგენას სასკოლო კურიკულუმსა და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

   მოსწავლის აკადემიური და პიროვნული განვითარების ხელშეწყობის, აგრეთვე კრიტიკული აზროვნებისა და კრეატიული უნარების ობიექტური შეფასების მიზნით, საგნობრივი კათედრები იყენებენ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. პედაგოგების თქმით, ესენია: შეფასების რუბრიკები, შემოქმედებითი დავალებები, პროექტები, ჯგუფური მუშაობის ფორმატები, აგრეთვე მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მექანიზმები და მოსწავლეთა უკუკავშირის ფორმები.

   ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ინდიკატორი შესაბამისობაშია

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის პედაგოგებთან და დირექციასთან გასაუბრებები ცხადყოფს, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა მრავალმხრივია და მოიცავს არა მხოლოდ საგნობრივ კომპეტენციებს, არამედ ეთიკური ნორმების დაცვას, საგაკვეთილო პროცესში პოზიტიური, თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებასა და ციფრული რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება მრავალგანზომილებიანი კონტექსტის გათვალისწინებით, საგნობრივი სტანდარტებისა და სასკოლო სასწავლო გეგმის საფუძველზე. ამასთანავე, პროცესში კომპლექსურად არის გათვალისწინებული სასწავლო გარემო, არსებული მატერიალური რესურსები და, რაც მთავარია, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები.

მოსწავლეთა მიღწევებისა და კომპეტენციების ობიექტური წარმოჩენის მიზნით, სკოლა იყენებს შეფასების მრავალფეროვან ფორმებსა და ინსტრუმენტებს. ფასდება ისეთი უნარ-ჩვევები, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, პასუხისმგებლობა, შემოქმედებითობა, არგუმენტირება და მსჯელობა. გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პროექტი, ლაბორატორიული კვლევა, პრეზენტაცია, დისკუსია და სხვადასხვა სასწავლო აქტივობები. აღნიშნული დივერსიფიცირებული მიდგომა საშუალებას აძლევს განსხვავებული ინტერესებისა და უნარების მქონე მოსწავლეებს, მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი.

ასევე, სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ხორციელდება სასწავლო პროცესის ადაპტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლის შეფასების სისტემა არის დიფერენცირებული, მოქნილი და ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლაში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და განვითარების დონის დასადგენად გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი და კომპლექსური მეთოდები. აღნიშნული პროცესი ხორციელდება სასკოლო

საზოგადოების გამოკითხვის, სისტემური დაკვირვებისა და ინტერვიუს მეშვეობით. შეფასების პროცესის დივერსიფიკაციის მიზნით, საგნობრივი კათედრები იყენებენ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ რუბრიკებს, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებისთვის და შემაჯამებელი ანალიზის ფორმებს. შეფასება მოიცავს მოსწავლეთა მიერ შესრულებული სხვადასხვა ტიპის ნამუშევრების ანალიზს, მათ შორის შემოქმედებით დავალებებს, წერილობით სამუშაოებსა და პოსტერებს.

ამასთანავე, ყოველდღიური საგანმანათლებლო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია მასწავლებლის მხრიდან ინტერაქციული საუბრები და მუდმივი უკუკავშირი. აღნიშნული ინტეგრირებული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა სააზროვნო უნარებისა და საგნობრივი ცოდნის განვითარების დინამიკის ობიექტურ ასახვასა და მონიტორინგს.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა ეფუძნება კომპლექსურ, ჰოლისტურ მიდგომას. პედაგოგიური პერსონალი ფოკუსირებულია არა მხოლოდ აკადემიური მიღწევების აღრიცხვაზე, არამედ კომპლექსურად განიხილავს მოსწავლის პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ კონტექსტს. შეფასების პროცესი ხორციელდება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, ფსიქოსოციალური, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ასაკობრივ თავისებურებებს, აგრეთვე სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს. შესაბამისად, შეფასება თანაბრად არის ორიენტირებული, როგორც საბოლოო შედეგზე, ისე უშუალოდ სწავლის პროცესზე, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პოტენციალის სრულფასოვან გამოვლენას. აღნიშნული ფარგლებში, შეფასება ორიენტირებულია, როგორც საბოლოო შედეგზე, ისე უშუალოდ სწავლის პროცესზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და პოტენციალის სრულფასოვან გამოვლენას.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კურუკულუმები;
- შემოქმედებითი დავალების ნიმუშები;
- შემოქმედებითი დავალების შეფასება;
- საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი, განმსაზღვრელი);
- კათედრის სხდომის ოქმი №1, 05.09. 2025წ.;
- კათედრის სხდომის ოქმი №2, 08.01. 2026წ.;
- კათედრის ანგარიში (I სემესტრი);
- სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემის №1 საჯარო სკოლის ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტის ფოტოგალერეა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

   სკოლა ადასტურებს მზაობას, მოქმედი კურიკულუმის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს განვითარებისა და მხარდაჭერის ღონისძიებათა პაკეტი. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციაა მომდევნო სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი საგანმანათლებლო ინტერვენციების დაგეგმვა. პარალელურად, საგნობრივ კათედრებზე აქტიურად მიმდინარეობს უკვე რეალიზებული კურიკულუმებისა და შეფასების კრიტერიუმების რევიზია. კოლეგიალური თანამშრომლობისა და ურთიერთდასწრების მექანიზმების გამოყენებით, პედაგოგები აანალიზებენ სასწავლო პრაქტიკას, ავლენენ იმ ასპექტებს, რომლებმაც გამოიწვია მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა და ინტერესი, აგრეთვე იდენტიფიცირებას უკეთებენ ნაკლებად ეფექტიან მიდგომებს.
   მიღებული ანალიტიკური მონაცემების საფუძველზე, მუშავდება კურიკულუმის ოპტიმიზებული მოდელები ახალი სასწავლო წლისთვის. პედაგოგები ამგვარად დაგროვილ გამოცდილებასა და რეფლექსიას ეფექტიანად იყენებენ საგნობრივი კურიკულუმების მოდიფიცირების, დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული ციკლური პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას, წინა წლის ძლიერი მხარეებისა და არსებული გამოწვევების სრული გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.4.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

   კურიკულუმის განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომლის ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს დოკუმენტის ყოველწლიურ განახლებას. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება სკოლაში დაგროვილ წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების სისტემური ანალიზის შედეგებს. აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის მოდიფიცირებას მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. ახალი კურიკულუმის შემუშავების ფაზაზე ხდება მონაცემთა კომპლექსური შეგროვება

სხვადასხვა მეთოდით, კერძოდ: აკადემიური შეფასებების ანალიზით, საგნობრივი კათედრების სხდომების ოქმების, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკისა და მასწავლებელთა პერიოდული ანგარიშების საფუძველზე. მიღებული მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს ახორციელებენ საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფთან მჭიდრო თანამშრომლობით.

გაკეთებული დასკვნებისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, იგეგმება კონკრეტული ცვლილებები სასწავლო პროცესში. ეს მოიცავს ახალი საგანმანათლებლო მეთოდოლოგიების დანერგვას, სასწავლო მასალების გადახედვასა და მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების საჭიროებების განსაზღვრას. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად მუშავდება კურიკულუმის საბოლოო, განახლებული ვერსია, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი:

Lela Bubashvili 01018004540

Digitally signed by Lela Bubashvili
Date: 2026.06.22 15:24:45

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: